

ჰომოსექსუალის “იატაკქვეშეთიდან გამოსვლის” პროცესი

(ერთი ჰომოსექსუალი მამაკაცის ცხოვრების მაგალითზე)

გიორგი ურჩუხაშვილი

მოდული: გენდერი

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია
სოციალურ მეცნიერებებში
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელები:
პროფესორი თინათინ ზურაბიშვილი,
ეკა აღდგომელაშვილი

Abstract

The sphere of the research is homosexuality, namely gay identity formation and so called Coming Out process. The research is based on one case only and tries to learn the coming out process of the respondent.

The research is conducted by consolidation of three methods. The basic method is a biographic-narrative interview (Cappai) which means that the main tool of gathering sociological data is respondents narrative about his life, which is obedient for specific order. Other methods were life history (study of personal documents, sketches, stories and poetries) and oral history. The research questions and hypothesis were formulated during the research process so the results and final discussion are based on the data collected during the field work.

Except answering to the research questions the goal of the research was to compare respondents identity formation process to the stages which are created by Vivienne Cass. After the comparative analysis we can discover that there are complete similarity between respondents life history and Cass' model of homosexual identity formation. The respondent fully repeats all the stages. He undertook identity confusion, identity comparison, identity tolerance, identity acceptance, identity pride and identity synthesis.

*The overall goal of the research was to gather initial **in-depth** data on a relatively understudied topic. This data may be used in the future for bigger research projects as well as in formulating new research questions and hypothesis which will help researchers interested in this question.*

ნაშრომის თემას წარმოადგენს ჰომოსექსუალობა, კერძოდ, ჰომოსექსუალური იდენტობის ფორმირების და ე.წ. “იატაკვეშეთიდან გამოვლის” პროცესი. კვლევა წარმოადგენს მხოლოდ ერთი შემთხვევის შესწავლას. კვლევის განმავლობაში პირველადი სოციოლოგიური ინფორმაცია შეგროვდა სამი მეთოდის გაერთიანებით. ძირითადი მეთოდია ბიოგრაფიულ-ნარატიულ ინტერვიუ (რომელშიც იგულისხმება რესპონდენტის მონაცემები თავისი ცხოვრების შესახებ, რომელიც სპეციფიურ წესებს ემორჩილება), ხოლო ინფორმაციის შესავსებად გამოყენებული იქნა ცხოვრების ისტორიის (პირადი დოკუმენტების, ჩანახატების, მოთხრობებისა და ლექსების შესწავლა) და ზეპირი ისტორიის ელემენტები. კვლევითი კითხვები და ჰიპოთეზები ჩამოყალიბდა კვლევის განმავლობაში, ამიტომ შედეგები და დისკუსიები ეფუძნება კვლევის განმავლობაში შეგროვებულ და გაანალიზებულ მონაცემებს.

კვლევით კითხვებზე პასუხის გაცემის გარდა, კვლევის მიზანი იყო რესპონდენტის იდენტობის ფორმირების პროცესის შედარება ვივიენ კასის ჰომოსექსუალური იდენტობის ჩამოყალიბების საფეხურებთან. შედარებითი ანალიზის შემდეგ აღმოჩნდა, რომ რესპონდენტმა მთლიანად გაიმეორა ვივიენ კასის მიერ გამოყოფილი იდენტობის ჩამოყალიბების საფეხურები: იდენტობის არეულობა, იდენტობის შედარება, იდენტობის მიმართ ტოლერანტობა, იდენტობის მიღება, იდენტობით სიამაყე და იდენტობის სინთეზი.

კვლევის მთავარ მიზანს წარმოადგენდა სიღრმისეული ინფორმაციის შეგროვება. ეს მონაცემები გამოყენებული იქნება მომავალში ახალი კვლევითი კითხვებისა და ჰიპოთეზების ჩამოყალიბებისათვის.

შესავალი

რა არის ჰომოსექსუალობა და ვინ შეიძლება ჩაითვალოს ჰომოსექსუალად? ეს არის კითხვა, რომელიც ჰომოსექსუალური იდენტობის, როგორც სოციალური კატეგორიის, გაჩენის შემდეგ აწუხებს ამ საკითხით დაინტერესებულ მრავალ მკვლევარს. არსებობს უამრავი კვლევა ჰომოსექსუალობის წარმომავლობის დასადგენად, თუმცა დღემდე არცერთ მათგანს არ მოუცია ზუსტი პასუხი ამ საკითხზე.

ტერმინი “ჰომოსექსუალობა” შემოიტანა შვეიცარიელმა ექიმმა კაროლი მარია ბენკერტმა 1869 წელს. ენტონი გიდენსის მიხედვით, ზოგადი და ყველაზე გავრცელებული განმარტებით ჰომოსექსუალობა არის ადამიანის ორიენტაცია, როდესაც ადამიანს აქვს საკუთარი სქესის ადამიანების მიმართ სექსუალური მიზიდულობა და გრძნობები. ჰომოსექსუალობა დამახასიათებელია თითქმის ყველა კულტურისათვის¹, თუმცა, მიუხედავად ამისა, ამ ფენომენის მიმართ, უმრავლეს შემთხვევაში, არსებობს უარყოფითი დამოკიდებულება. საზოგადოებების უმრავლესობა ასეთი ორიენტაციის ადამიანების მიმართ მტრულად არის განწყობილი, თითქმის ყველა ფენაში ფართოდ არის გავრცელებული ჰომოფობია.

მაგრამ ის, რომ საზოგადოებების უმრავლესობაში ჰომოსექსუალობას აღარ განიხილავენ როგორც დანაშაულს ან დევნიცას, შესაძლოა გავიგოთ, როგორც მოლაპარაკება ესენციალისტურ და კონსტრუქტივისტულ პოზიციებს შორის. ესენციალისტური მიდგომა სექსუალურ ორიენტაციას განიხილავს, როგორც ბუნებრივს, მყარს და შინაგანს (ანუ წინასწარ განსაზღვრულსა და თანდაყოლილს). კონსტრუქტივისტული პოზიციის მიხედვით კი ჰომოსექსუალური იდენტობა არის არამყარი, სოციალური და კულტურული მდგომარეობების შედეგი (ანუ შექმნილია და არა თანდაყოლილი. კულტურულად აგებული მთლიანად)².

ფუკო აღნიშნავს: “ჰომოსექსუალობა არის უეჭველად ახალი ფორმაცია, ვინაიდან მანამდე არსებული ჰომოსექსუალური ქცევის მაგალითებს თუ დავაკვირდებით, ისინი მხოლოდ ფაქტი იყო და არ იყო საუბარი არანაირ იდენტობაზე.” ასევე ფიქრობს ჯონ დემილიო³. მისი აზრით, ჰომოსექსუალობის თანამედროვე სახე აღმოცენდა გვიან, მეცხრამეტე საუკუნეში. იგი ემხრობა მარქსისტულ მიდგომას და ამტკიცებს, რომ ჰომოსექსუალობის იდენტობად ჩამოყალიბებისათვის აუცილებელი პირობებია კაპიტალიზმის ისტორიული განვითარება, უფრო ზუსტად კი თავისუფალი შრომითი სისტემის არსებობა⁴. მართლაც, როდესაც ინდივიდებმა დაიწყეს ცხოვრება საკუთარი ხელფასით და აღარ იყვნენ დამოკიდებულნი ოჯახის ბიუჯეტზე, შესაძლებელი გახდა ჰომოსექსუალური სურვილების იდენტობასთან შერწყმა და იდენტობა ჩამოყალიბდა ოჯახის გარეთ, დამოუკიდებლად.

ჯეფრი ვიკის აზრით, ამას ემატება ურბანიზაცია და ინდუსტრიული კაპიტალიზმი.

ზემოთ განვითარებული მსჯელობის მიხედვით, რასაც მეც ვეთანხმები, ჰომოსექსუალობა შეიძლება განვიხილოთ, როგორც არა თანდაყოლილი, არამედ როგორც შექმნილი და სოციალურად კონსტრუირებული ფენომენი. კვლევის პროცესში ჩემი მიდგომა იქნება კონსტრუქტივისტული, მაგრამ არ ვაპირებ იმის ძიებას, თუ საიდან და რა მიზეზების წყალობით ჩამოყალიბდა რესპონდენტი ჰომოსექსუალად. კვლევის მიზანი შედარებით მოკრძალებულია და ვფიქრობ, რომ უფრო მეტად საინტერესო არის ვიკვლიოთ არა ის, თუ

¹ Гидденс Э. *Социология*. Новое Второе Издание. Москва 2000. გვ. 121

² Jagose A. (1996) *Queer Theory, An Introduction*. Washington Square, New York: New York University Press pp. 8-10

³ იქვე. გვ. 10

⁴ იქვე. გვ. 13

რამ განაპირობა ადამიანის სექსუალური იდენტობა, არამედ შევისწავლოთ ის პრობლემები, რომელიც რეალურად არსებობს მის ცხოვრებაში.

ნაშრომის თემას წარმოადგენს ჰომოსექსუალობა, მაგრამ ვინაიდან ჰომოსექსუალობა ფართო და ზოგადი ცნებაა, ვამჯობინე თემის სფერო დამევიწროვებინა და მეკვლია ჰომოსექსუალობასთან დაკავშირებული რომელიმე ფენომენი, რომელიც უფრო კონკრეტული და ხელმოსაჭიდი იქნებოდა კვლევისათვის. საბოლოოდ, ლიტერატურისა და პირველადი სოციოლოგიური მასალის გაცნობის შემდეგ, გადაწყვიტე შემეწავლა ჰომოსექსუალი ადამიანის იდენტობის ფორმირების და ე.წ. “იატაკვეშეთიდან გამოსვლის” პროცესი⁵.

ლიტერატურიდან ვგებულობთ, რომ იატაკვეშეთიდან გამოსვლის პროცესი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ჰომოსექსუალი ადამიანის ცხოვრებაში და მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მის ცხოვრებას⁶. გარდა ამისა, აღნიშნული პრობლემის მიმართ დამოკიდებულება არის საზოგადოების ღიაობისა და დემოკრატიის ხარისხის მაჩვენებელი.

სექსუალური იდენტიფიკაციის ჩამოყალიბება არ ნიშნავს, რომ ადამიანი მზად არის საჯაროდ ან თუნდაც ვინმესთან აღიაროს საკუთარი ორიენტაცია. თუ საზოგადოება არ არის ტოლერანტული განსხვავებული ჯგუფების მიმართ და მასში ჰომოფობიური განწყობა მძლავრია, ასეთ საზოგადოებაში ჰომოსექსუალ ადამიანს აღიარებამ შეიძლება ცხოვრება დაუნგრის და საშინელებად უქციოს, იგი მოკვეთილ იქნეს ოჯახიდან, გაგდებული სამსახურიდან და ა.შ. საქართველოში ჯერ არ ჩატარებულა მასშტაბური კვლევა, რომელიც საშუალებას მოგვცემდა გვესაუბრა “იატაკვეშეთიდან გამოსვლის” თავისებურებებზე ჩვენს ქვეყანაში, თუმცა არსებობს ილგა ევროპის მიერ ჩატარებული მცირე გამოკითხვა და ფონდი ინკლუზივის მიერ ჩატარებული ფოკუს ჯგუფები, რომელთა ფარგლებშიც იყო საუბარი “იატაკვეშეთიდან გამოსვლის” შესახებ, ჩვენს ქვეყანაში მის თავისებურებებზე. როგორც „ილგა ევროპის“⁷ მიერ წარმოდგენილ ანგარიშში ვხვდებით, ჩვენს ქვეყანაში ჰომოსექსუალების იატაკვეშეთიდან გამოსვლის საკითხი სათანადოდ არ არის შეფასებული, რაც განპირობებულია შიშით, რომ თუ გამჟღავნდება ვინმეს განსხვავებული სექსუალური ორიენტაცია, მას საფრთხე შეექმნება, ამიტომ ეს საკითხი რჩება დაფარული. 120 რესპონდენტიდან, რომლებიც გამოკითხულ იქნა ამ მისიის ფარგლებში, მხოლოდ 13.3%-ია გამომჟღავნებული ოჯახთან. სიტუაცია ოდნავ განსხვავებულია როდესაც საქმე ეხება მეგობრებთან გამომჟღავნებას. ამ შემთხვევაში პროცენტული მაჩვენებელი გაცილებით მაღალია და წარმოადგენს 33.3%-ს. მაგრამ არც ეს არის მაღალი მაჩვენებელი.

იატაკვეშეთიდან გამოსვლა საქართველოს მაგალითზე არის ნაწილობრივი, ანუ ადამიანის მთლიანად გამომჟღავნება არ ხდება. გამომჟღავნება ხდება მხოლოდ ოჯახის გარკვეულ წევრებთან და მეგობრებთან, რომლებიც ისევე ატარებენ ტვირთად ახლობლის ორიენტაციას, როგორც თავად ჰომოსექსუალი. ეს გამოწვეულია ამ საკითხის ტაბუირებით და ფართოდ გავრცელებული ჰომოფობიით, რომელსაც ქართულ საზოგადოებაში თითქმის ყველა სოციალური ინსტიტუტი ნერგავს დაწყებული ოჯახიდან დამთავრებული მედიით. როგორც ეკა აღდგომელაშვილი აღნიშნავს, „*ჰომოსექსუალების შესახებ „უეჭველი“ მითების გავრცელებით, მედია უმატებს სტიგმატიზაციას და ართულებს „იატაკვეშეთიდან გამოსვლისა“ და ჰომოსექსუალი ადამიანების საზოგადოებაში ინტეგრაციის პროცესებს.*“⁸

⁵ იატაკვეშეთიდან გამოსვლაში იგულისხმება ჰომოსექსუალი ადამიანის ორიენტაციის გამომჟღავნება ვინმესთან. აღნიშნული ტერმინი ინგლისურენოვან ლიტერატურაში გვხვდება, როგორც “Coming Out Process”

⁶ შეგიძლიათ იხილოთ ჰომოსექსუალური იდენტობის ჩამოყალიბების მოდელები:

http://www.outproud.org/article_sexual_identity.html

⁷ ILGA-Europe - European region of the International Lesbian, Gay, Bisexual, Trans and Intersex Association (ILGA)

⁸ Quin S. (2007) *Forced Out: LGBT People in Georgia*. Report on Ilga- Europe/Coc Fact Finding mission, Tbilisi. გვ. 27

გამომჟღავნებას ართულებს ასევე ის „სარგებელი“, რომელსაც ჰომოსექსუალი ადამიანები ღებულობენ თავიანთი რეალური ორიენტაციის დამალვის შედეგად. ფონდი ინკლუზივის მიერ ჩატარებული ფოკუს-ჯგუფის დროს, ერთ-ერთმა მამაკაცმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ არ საჭიროებს ოჯახში გამომჟღავნებას, რადგან ამისათვის საკმარისად ყავს მეგობრები და მისი არგამომჟღავნებით ოჯახში ღებულობს თავისებურ სარგებელს, როგორცაა შესაძლებლობა თავისი შეყვარებული მიიყვანოს სახლში. ამავე ფოკუს-ჯგუფის დროს, ერთმა ქალმა ჰომოსექსუალმა თქვა, რომ როდესაც ის გამოტყდა თავის ორიენტაციაში, იგი საზღვარგარეთ იქნა გაგზავნილი, ერთ-ერთმა მამაკაცმა აღნიშნა, რომ დედასთან გამომჟღავნების შემდეგ მას დაემუქრნენ ქვეყნის დატოვებით, 19 წლის გოგონამ კი განაცხადა, რომ მისი მშობლები განქორწინდნენ, როდესაც იგი მათ გამოუტყდა თავის ორიენტაციაში.

ფოკუს-ჯგუფების დროს უმრავლესობამ აღნიშნა, რომ უმჯობესია გამოტყდე დედასთან, ვინაიდან მან უკეთ იცის თუ როგორ უნდა უთხრას ამის შესახებ მამას. ქალებმა აღნიშნეს, რომ ისინი მეტ მხარდაჭერას ღებულობენ მამებისა და ძმებისაგან, ვიდრე ოჯახში მცხოვრები ქალებისაგან.

ქართულ სივრცეში სხვა კვლევა ჰომოსექსუალი ადამიანების იატაკვემეტიდან გამოსვლის შესახებ ჩემთვის მიუწვდომელია და ამიტომ მოვიძიე რამდენიმე არაქართული კვლევა. ასეთი კვლევა, არის „გეი ანგარიში“ (*The gay Raport*)⁹, რომელიც მოიცავს ამომწურავ კვლევას ჰომოსექსუალური საზოგადოების შესახებ ამერიკის შერთებულ შტატებსა და კანადაში. 1977 წელს კარლა ჯეიმ და ალენ იანგმა გამოიკითხეს რამდენიმე ათასი გეი და ლესბოსელი ადამიანი, თოთხმეტიდან ოთხმოცდაორი წლის ჩათვლით. რესპონდენტებმა შეავსეს გაფართოებული კითხვარები მათი ცხოვრების სტილისა და სექსუალური გამოცდილების შესახებ. კვლევისას დასმული შეკითხვებიდან რამდენიმე საინტერესო იყო ჩემი კვლევისათვის, მაგალითად, შეკითხვები იატაკვემეტიდან გამოსვლისა და ორიენტაციის დამალვის შესახებ. ამ კვლევის შედეგები თავმოყრილია ერთ წიგნში, რომელსაც, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ჰქვია “გეი რეპორტი”. წიგნში აღწერილია ის, რაც რესპონდენტებმა დააფიქსირეს კვლევის განმავლობაში.

მეორე არაქართული კვლევა, რომელიც მოვიძიე, არის კევინ ალდერსონის კვლევა, “Beyond Coming Out”, სადაც გადმოცემულია 16 ჰომოსექსუალი მამაკაცის ცხოვრების ისტორია. რესპონდენტების ასაკი 16-დან 61 წლამდეა. ავტორმა ეს ისტორიები დაჰყო სამ ფაზად: ცხოვრება იატაკვემეტიდან გამოსვლამდე, იატაკვემეტიდან გამოსვლისას, როდესაც ყალიბდება პოზიტიური გეი იდენტიფიკაცია და ბოლო ფაზა – იატაკვემეტიდან გამოსვლის შემდეგ. წიგნში ვხვდებით საინტერესო დისკუსიებს სამივე ფაზასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით კი საინტერესოა დისკუსია იატაკვემეტიდან გამოსვლის შესახებ. ეს პროცესი აღწერილია, როგორც გეი იდენტობის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი ფაქტორი. მართალია არის შემთხვევები, როდესაც იატაკვემეტიდან გამოსვლა დაკავშირებულია კრიზისთან, თუმცა მთლიანობაში გამომჟღავნების ფენომენი დადებით როლს თამაშობს ჰომოსექსუალის ცხოვრებაში. ამ ფაქტის დახმარებით ადამიანები თავს უკვე ჰომოსექსუალის მნიშვნელობით აღიქვამენ და ცდილობენ გაუმკლავდნენ ინტერნალიზებულ ჰომოფობიას¹⁰.

ზემოთ დასახელებული კვლევების ყურადღების მიღმა მრავალი საკითხია დარჩენილი, რომლებიც ყურადღებასა და საფუძვლიან შესწავლას იმსახურებს. ასეთი საკითხებია იძულებითი “იატაკვემეტიდან გამოსვლის” ფენომენი, მატერიალური მდგომარეობის

⁹ Jei K. and Young A. 1979. *The gay Raport*. Summit Books, New York

¹⁰ Alderson K. (2000) *Beyond Coming Out*. Canada. Insomniac Press. pp. 116

კავშირი გამომჟღავნებასთან და მრავალი სხვა. სწორედ ამ საკითხების შესწავლა ჩემი კვლევის ერთ-ერთი მიზანი.

უფრო კონკრეტულად, ჩემი კვლევის მიზანს წარმოადგენს სიღრმისეული მასალის შეგროვება იატაკვემეტიდან გამოსვლის საკითხებთან დაკავშირებით. ეს მასალა და მონაცემები შესაძლოა გამოყენებულ იქნას მომავალში უფრო დიდი კვლევითი პროექტებისათვის. ასევე, კვლევის მიზანს წარმოადგენს ახალი კვლევითი კითხვებისა და ჰიპოთეზების ჩამოყალიბება, რომლებიც დახმარებას გაუწევს შემდეგში ამ საკითხით დაინტერესებულ მკვლევარებს. ვიმედოვნებ, რომ მომავალში უფრო მეტი მკვლევარი დაინტერესდება ამ საკითხით და ვფიქრობ, ჩემს მიერ შეგროვილი მასალა და შედეგები მათთვის იქნება ერთ-ერთი დამხმარე საშუალება.

და ბოლოს, კვლევის მიზანს წარმოადგენს რესპონდენტის ცხოვრების ისტორიის საფუძველზე მისი ჰომოსექსუალური იდენტობის ფორმირების ინდივიდუალური მოდელის აგება და ამ მოდელის შედარება ყველაზე გავრცელებულ ჰომოსექსუალური იდენტობის ფორმირების მოდელთან.

აღნიშნული კვლევა მოიცავს მხოლოდ ერთი შემთხვევის შესწავლას. კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნება “მონაცემებზე დაფუძნებული თეორიის”¹¹ ელემენტები, რაც გულისხმობს, რომ კვლევის პროცესში მკვლევარი მთლიანად დაეყრდნოს კვლევის შედეგად მოპოვებულ პირველად სოციოლოგიურ მასალას და არა ლიტერატურიდან მოძიებულ თეორიულ მოდელებს. შტრაუსი და კორბინი გვიხსნიან: “მონაცემებზე დაფუძნებული თეორია არის თეორია, რომელიც წარმოიქმნება, სისტემატურად მოგროვილი და კვლევის პროცესში გაანალიზებული მონაცემებიდან. ამ მეთოდის გამოყენების შემთხვევაში მონაცემების შეგროვება, ანალიზი და საბოლოო თეორიული მოდელის ჩამოყალიბება ძალიან ახლოს დგას ერთმანეთთან და ერთნაირად ვითარდება კვლევის პროცესში. მკვლევარი არ იწყებს პროექტს წინასწარ შექმნილი წარმოდგენით რაიმე თეორიის შესახებ იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი ამ თეორიის შემოწმებასა და დამუშავებას ისახავს მიზნად. მკვლევარი მხოლოდ განსაზღვრავს კვლევის სფეროს და საშუალებას აძლევს თეორიას აღმოცენდეს მონაცემებიდან. თეორია, რომელიც განვითარდა მონაცემებიდან, უფრო რეალურია, ვიდრე თეორია, რომელიც მიღებულია სხვადასხვა თეორიული ცნებებიდან. მონაცემებზე დაფუძნებული თეორიები გვთავაზობენ მოვლენების უფრო ღრმა და ფართო გაგებას და უზრუნველყოფენ გზამკვლევს კვლევითი მოქმედებისათვის.”¹² ჩემი კვლევის განმავლობაში შევეცადე მეც მესარგებლა მონაცემებზე დაყრდნობის პრინციპით. თავდაპირველად განსაზღვრული მქონდა მხოლოდ ზოგადი თემა, ხოლო კვლევითი კითხვების ჩამოყალიბება და კვლევის მსვლელობა დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რას მეტყოდა ინტერვიუს შედეგად მიღებული მონაცემები. სწორედ ამ მასალის გაცნობის შემდეგ ვსვავდი კვლევით კითხვებს, რომლებიც კვლევის მსვლელობისას მრავალჯერ შეიცვალა და სხვადასხვაგვარად ფორმულირდა.

გარდა მონაცემებისა მე გავეცანი ლიტერატურას, რომელიც დამეხმარა საველე სამუშაოების წარმატებით წარმართვასა და კვლევითი კითხვების ფორმულირებაში.

ქვემოთ მოკლედ მიმოვიხილავ ჩემს მიერ გამოყენებულ ლიტერატურას.

¹¹ არაქართულ ლიტერატურაში მონაცემებზე დაფუძნებული თეორია მიხსენიება როგორც “grounded Theory”.

¹² Strauss A. and Corbin J.1998. *Basics of Qualitative Research, Techniques and Procedures for Developing Grounded Theory*. Sage Publications, London, New Dehli pp.12

ლიტერატურის მიმოხილვა

ჩემს მიერ გამოყენებული ლიტერატურიდან გამოსაყოფია ლიტერატურა მეთოდების და “იატაკვეშეთიდან გამოსვლისადმი” მიძღვნილი თეორიების შესახებ. თვისებრივი მეთოდების შესახებ ინფორმაცია მოვიძიე თ. ზურაბიშვილის და უ. ლორენს ნიუმანის წიგნებიდან. დასახელებული ლიტერატურა გვიხსნის, თუ რა არის თვისებრივი მეთოდები ზოგადად, ვარკვევთ მათ დადებით და უარყოფით მხარეებს. ეს ლიტერატურა განიხილავს სხვადასხვა თვისებრივ მეთოდებს და მათი გამოყენების გზებს. გავეცანი აგრეთვე გაბრიელე კაპაის ტექსტს ბიოგრაფიულ-ნარატიული ინტერვიუს შესახებ. მნიშვნელოვანია არასექსისტური კვლევის მეთოდების სახელმძღვანელო და ჰერეკის სტატია “როგორ ავირიდოთ თავიდან ჰეტეროსექსისტური გადახრები სოციალური კვლევისას”. ცხოვრების ისტორიის ჩასაწერად და მისი, როგორც მეთოდის გამოყენებისათვის მნიშვნელოვანია კლიფორდ შოუს ჯეკ როლერის ცხოვრების ისტორია. წიგნი გვხმარება გავერკვეთ, თუ რა დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს ცხოვრების ისტორიას როგორც მეთოდს. კარგად არის გადმოცემული როგორ ხდება ერთი ადამიანის ისტორიის ჩაწერა და მისი ანალიზი. წიგნი კარგი მაგალითია ერთი შემთხვევის შესწავლის კუთხითაც. ზეპირი ისტორიების სპეციფიკაში გასარკვევად გავეცანი სერია “ქალთა მეხსიერების” ერთ-ერთ გამოცემას, “მრავალეთნიკური საქართველო გასულ საუკუნეში”. ამ წიგნის მეშვეობით ვიგებთ, თუ როგორ ხდება ზეპირი ისტორიების ჩაწერა, რისი შესწავლისკენა არის მიმართული ზეპირი ისტორია და როგორ ხდება ზეპირი ისტორიების მკითხველამდე მიტანა. ზეპირ ისტორიასთან დაკავშირებით ჩრდილოდასავლური ჰომოსექსუალური მუზეუმის საიტზე მოვიძიე სპეციალური კითხვები, რომლებსაც ლებტ ადამიანებს უსვამენ ზეპირი ისტორიების ჩაწერისას.

და ბოლოს მეთოდების შესახებ ლიტერატურას რაც შეეხება, მონაცემებზე დაფუძნებული თეორიის შესახებ ინფორმაცია მოვიძიე ანსელმ შტრაუსისა და ჯულიეტ კორბინის წიგნიდან, “თვისებრივი კვლევის საფუძვლები”. ამ წიგნში კარგად არის გადმოცემული თუ რას ნიშნავს მონაცემებზე დაფუძნებული თეორია და როგორ შეიძლება მისი გამოყენება.

ეს რაც შეეხება ლიტერატურას მეთოდების შესახებ. ასევე მოკლედ მიმოვიხილავ იმ ლიტერატურას, რომელიც ჰომოსექსუალობას და მასთან დაკავშირებული თეორიების გასაცნობად მოვიძიე. პირველი და ბაზისური ინფორმაციის მისაღებად გავეცანი ანამარი ჯაგოზის წიგნს “ქვიარ თეორია”, რომელშიც მოკლედ არის წარმოდგენილი, თუ რა არის ჰომოსექსუალობა და როგორ ჩამოყალიბდა ის დამოუკიდებელ იდენტობად. ამ წიგნში ჰომოსექსუალობა განხილულია ესენციალისტური და კონსტრუქტივისტული მიდგომების ფარგლებში, რომელიც ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო, იმიტომ, რომ ჩემი მიდგომა ამ კვლევის ფარგლებში, ჰომოსექსუალობის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით იყო კონსტრუქტივისტული. მოზარდის იდენტობის ფორმირების და ჰომოსექსუალის იატაკვეშეთიდან გამოსვლის შესახებ ინფორმაცია მოვიძიე ინტერნეტის საშუალებით. ლიტერატურის ჩამონათვალში დასახელებული წყაროების დახმარებით, კერძოდ ბლუმენფილდის ტექსტის საშუალებით, გავეცანი მოზარდის ჩამოყალიბების პროცესის სირთულეებს, რომელიც განსაკუთრებით მტკივნეულია იმ მოზარდებისათვის, ვინც საკუთარი სქესის ადამიანების მიმართ განიცდის სექსუალურ ლტოლვას. იქვე საუბარია გენდერულ იდენტობაზე, როლებზე, სექსუალურ ქცევასა და ორიენტაციაზე. გენდერული იდენტობის შესახებ ინფორმაცია მოვიძიე ელეონორ მაკობის წიგნიდან, “ორი სქესი.”

ინტერნეტის დახმარებით ჰომოსექსუალობის ჟურნალიდან მოვიძიე ჰომოსექსუალის იდენტობის ფორმირების სამი ყველაზე გავრცელებული მოდელი: ვივიენ კასის, რიჩარდ ტროიდენის და ელი კოლემანის მოდელები. სადაც შემოთავაზებულია საფეხურობრივი მოდელები, თუ როგორ ყალიბდება ჰომოსექსუალი ადამიანის იდენტობა და როგორ იწყებს ის იატაკვეშეთიდან გამოსვლას და რა სირთულეებსა და მოვლენებთან არის დაკავშირებული ეს ყველაფერი. ნაშრომში ფართოდ და დაწვრილებით მიმოვიხილავ ამ მოდელებს ერთ-ერთს, კერძოდ ვივიენ კასის მოდელს, რომლის საფუძველზეც შევადგინე რესპონდენტის ჰომოსექსუალური იდენტობის ჩამოყალიბების ინდივიდუალური მოდელი.

საქართველოში ლგბტ ადამიანების ცხოვრების, მასთან დაკავშირებული სირთულეებისა და პრობლემების გასაცნობად მოვიძიე პირველი ლგბტ ჟურნალი საქართველოში: “მე”, სადაც ილგა ევროპის მისიის მიერ აღწერილია ლგბტ საზოგადოების ზოგადი მდგომარეობა საქართველოში. ამავე ჟურნალში ვხვდებით მცირე სახის სოციალურ კვლევებს ქართულ სივრცეში, რომლებიც, ჩემი აზრით მცირე მასშტაბებისა და არა მეცნიერულობის მიუხედავად, მეტად საინტერესო და ბევრის მომცემია. ასევე საინტერესო გამოდგა ჩემთვის ილგა ევროპის მიერ ჩატარებული კვლევის ანგარიში, რომელიც გამოცემულია იმავე სახელწოდების წიგნად, შელა ქუინის ავტორობით.

ეს რაც შეეხებოდა ქართულ რეალობაში არსებულ კვლევებს. არაქართულ კვლევებზე წავიკითხე რამოდენიმე სტატია, მაგრამ სამწუხაროდ ეს სტატიები არ შეესაბამებოდა ჩემი კვლევის საკითხებს. მხოლოდ ორი კვლევა აღმოჩნდა ჩემთვის საინტერესო. ესენია: გეი ანგარიში, სადაც გადმოცემულია კარლა ჯეისა და ალენ იანგის მიერ ჩატარებული ჰომოსექსუალი ადამიანების გამოკვლევის ვრცელი ანგარიში და კიდევ, კვენ ალდერსონის ჰომოსექსუალი მამაკაცების ცხოვრების ისტორიების კრებული, სადაც ავტორი შეისწავლის ზუსტად იატაკვეშეთიდან გამოსვლის ფენომენს რესპონდენტების ცხოვრებაში.

ზემოთ დასახელებული ლიტერატურა ძალიან დამეხმარა უშუალოდ სავსე სამუშაოების წარმატებით ჩატარებასა და შემდგომ უკვე კვლევითი კითხვებისა და ჰიპოთეზების ფორმულირებაში.

მეთოდოლოგია და სავსე სამუშაოები

ქვემოთ მიმოვიხილავ კვლევით მეთოდებს, რესპონდენტის შერჩევისა და სავსე სამუშაოების მსვლელობას.

ჩემს მიერ ჩატარებული კვლევის ფარგლებში გამოვიკვლიე მხოლოდ ერთი ჰომოსექსუალი მამაკაცის ცხოვრების ისტორია, ვაწარმოე ამ შემთხვევის სიღრმისეული და მრავალმხრივი შესწავლა. მხოლოდ ამ ერთ შემთხვევაზე დაყრდნობით ვიმსჯელებ მონაცემების ანალიზისას. მართალია, ერთი ჰომოსექსუალის ისტორიის გამოკვლევით ჩვენ არ გვაქვს განსაზოგადებელი შედეგები, ვინაიდან კვლევა არ არის რეპრეზენტატული პოზიტივისტური გაგებით, მაგრამ რეპრეზენტატულობა არასოდეს არის თვისებრივი კვლევის მიზანი. ჩემი კვლევის მიზანია, ახსნა ჰომოსექსუალის შიდა სამყარო, შევისწავლო მის ცხოვრებაში განვითარებული მოვლენების ახსნა თავად რესპონდენტის თვალთახედვის, მისი პერსპექტივიდან დანახული რეალური ისტორიების საშუალებით. ვფიქრობ, ერთი შემთხვევის სიღრმისეული შესწავლა საინტერესო და ნაყოფიერი იქნება უფრო მასშტაბური კვლევებისათვის, მომავალი საკვლევი კითხვებისა და ვარაუდების ჩამოსაყალიბებლად.

როგორ შიშარჩი რესპონდენტი

რადგან ჩემი კვლევის სფეროს წარმოადგენს ჰომოსექსუალური იდენტობის ფორმირება, რომელიც, როგორც შემდეგში აღვწერ, ეტაპობრივად მიმდინარეობს, შესაბამისად ისეთი რესპონდენტი უნდა მომეძებნა, რომელიც არ იქნებოდა ძალიან ახალგაზრდა, იქნებოდა ეკონომიურად დამოუკიდებელი და რაც ყველაზე მთავარია, უკვე რამოდენიმეჯერ უნდა ჰქონოდა გამოცდილი “იატაკვეშეთიდან გამოსვლის” ფენომენი. ჩემი რესპონდენტი დაახლოებით 30 წლის, თბილისში მცხოვრები ჰომოსექსუალი მამაკაცი, რომელიც ყველანაირად აკმაყოფილებდა ზემოთ ნახსენებ მოთხოვნებს.

მონაცემების შესაგროვებლად ვიყენებ მონოგრაფიულ გამოკვლევას. ქვემოთ მოკლედ მიმოვიხილავ მონოგრაფიულ გამოკვლევას, როგორც კვლევით მიდგომას და იმ მეთოდებს, რომელთა გაერთიანებითაც მოვახდინე პირველადი სოციოლოგიური ინფორმაციის შეგროვება რესპონდენტის ცხოვრების შესახებ.

მეთოდის აღწერა

როგორც თ. ზურაბიშვილის წიგნში “თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში” ვკითხულობთ: “მონოგრაფიული გამოკვლევის უმნიშვნელოვანეს უპირატესობად ითვლება მის მიერ პრობლემის სიღრმისეული და მრავალმხრივი შესწავლის უნარი”. მეთოდის დადებითი მხარე არის მისი მოქნილობა. “როგორც ამ მეთოდის თეორეტიკოსები მიიჩნევენ, კვლევითი ამოცანების დასახვა მონოგრაფიული გამოკვლევის შემთხვევაში შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, რაც მკვლევარმა დაიწყო სავსე სამუშაოები, ამიტომ თვითონ გამოკვლევა იწყება, როგორც წესი, გამოკვლევის საერთო თემის განსაზღვრით, და არა კონკრეტული ჰიპოთეზების დასახვით. სწორედ ასე დავიწყე კვლევა საწყის ეტაპზე. მქონდა მხოლოდ კვლევის საერთო თემა, ჰომოსექსუალობა, რომლის შესახებაც ვაპირებდი კვლევის ჩატარებას, ხოლო საკვლევი საკითხები და კვლევითი კითხვების ჩამოყალიბება მოხდა თანდათან, ინტერვიუს ჩატარების მსვლელობისას. ზემოთ ჩამოთვლილი თვისებების შედეგად მონოგრაფიული გამოკვლევა განსაკუთრებული მოქნილობით გამოირჩევა. მონოგრაფიული გამოკვლევის მსვლელობაში მკვლევარი არასოდეს ყაბულდება ინფორმაციის შეგროვების მხოლოდ ერთ მეთოდს, არამედ რამდენიმე ურთიერთშემავსებელ მეთოდიკას გამოიყენებს, რომლებიც შესასწავლი პრობლემის განსხვავებულ მხარეებს გამოავლენენ. ესენია, უპირველეს ყოვლისა, დაკვირვება და სხვადასხვა სახის ინტერვიუ, დოკუმენტების ანალიზი, ფოკუს-ჯგუფი; აგრეთვე ეს შეიძლება იყოს საარქივო საბუთების შესწავლა, პირადი წერილები და/ან დღიურები, ასევე – ფოტოსურათები და სხვ. სხვადასხვა მეთოდის გამოყენება, ამასთან, უზრუნველყოფს გამოკვლევის შედეგების სანდოობის გაზრდას, რაც ძალზე მნიშვნელოვანია თვისებრივი მეთოდებით ჩატარებული ყველა გამოკვლევისათვის. არცთუ იშვიათად, თემის შესახებ სრული ინფორმაციის მიღების მიზნით მკვლევარები მიმართავენ მოსახლეობის აღწერას ან მათ გამოკითხვას ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით.” სწორედ ამ დადებითი თვისებების გამო, რაც მდგომარეობს რამოდენიმე მეთოდის გაერთიანებასა და პრობლემის სიღრმისეული შესწავლაში, გადავწყვიტე მონოგრაფიული გამოკვლევის გამოყენება. რადგან ისედაც ერთი რესპონდენტის გამოცდილებას შევისწავლი, საჭიროდ მივიჩნიე რაც შეიძლება სიღრმისეულად გამომეკვლია

ეს ერთი შემთხვევაა, ამის საშუალებას კი სწორედ რამოდენიმე მეთოდის გაერთიანება მძღვეს. საბოლოოდ ეს ასეც მოხდა.

როგორც ლიტერატურიდან ვგებულობთ: „მონოგრაფიულ გამოკვლევას უმჯობესია ეწოდოს არა კვლევის მეთოდი, არამედ კვლევითი მიდგომა (რომელიც მეთოდების ვრცელ არსენალს აერთიანებს). სხვათაშორის, ჩიკაგოს სკოლის წარმომადგენლები, რომლებმაც პირველებმა დაამკვიდრეს “მრავალმეთოდური მიდგომა” (multimethod approach) მონოგრაფიულ გამოკვლევებში, თვლიდნენ, რომ ამის მეშვეობით ინფორმაციის მაქსიმალურად ფართო სპექტრის შეგროვება იყო შესაძლებელი. რა თქმა უნდა, მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებისას მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო განსხვავებული, ზოგჯერ – საწინააღმდეგო შედეგების მიღება. თუმცა, “რაოდენობრივი” მკვლევარებისაგან განსხვავებით, თვისებრივი მეთოდების მომხრეები ამას არ აღიქვამენ როგორც მუქარას გამოკვლევის შედეგებისადმი, არამედ როგორც კიდევ ერთ შესაძლებლობას, მიღებულ შედეგებს სხვადასხვა თვალთ შევხედოთ, რაც, საბოლოო ჯამში, სრული და ყოველმხრივი სურათის დახატვაში უნდა დაგვეხმაროს. თანამედროვე მკვლევარები სულ უფრო და უფრო ხშირად თვლიან, რომ ამ მეთოდს სასვებით შესწევს ძალა, არა მარტო აღწეროს, არამედ აგრეთვე ახსნას ესა თუ ის სოციალური სიტუაცია.”¹³

რადგან მონოგრაფიული გამოკვლევა ძალიან კარგად მუშაობს პრობლემის წინასწარი შესწავლისა და აღწერის მხრივ, ეს კარგად შეესაბამება ჩემი კვლევის მიზანს, რომელიც მდგომარეობს სამომავლოდ უფრო დიდი კვლევისათვის მასალის შექმნასა და საინტერესო კვლევითი კითხვების და ჰიპოთეზების ჩამოყალიბებაში.

მონოგრაფიული გამოკვლევის ფარგლებში პირველადი ინფორმაციის შესაგროვებლად გავაერთიანე სამი თვისებრივი კვლევის მეთოდი სოციალური მეცნიერებებიდან. ძირითად მეთოდად გამოვიყენე ბიოგრაფიულ-ნარატიულ ინტერვიუს (რომელშიც იგულისხმება რესპონდენტის მონაყოლი თავისი ცხოვრების შესახებ, რომელიც სპეციფიურ წესებს ემორჩილება), ხოლო ინფორმაციის შესავსებად გამოვიყენე ცხოვრების ისტორიის (პირადი დოკუმენტების, ჩანახატების, მოთხრობებისა და ლექსების შესწავლა) და ზეპირი ისტორიის ელემენტები, კერძოდ, ბიოგრაფიულ-ნარატიული ინტერვიუს ჩატარების მსვლელობისა და დასრულების შემდეგ, უკვე ჩაწერილი ცხოვრების ისტორიის შესავსებად რესპონდენტს დავუსვი შერჩევითი შეკითხვები ლგბტ ადამიანებისათვის¹⁴ შექმნილი სპეციალური ზეპირი ისტორიის კითხვარიდან.

მოკლედ მიმოვიხილავ თითოეულ მეთოდს:

როგორც ზემოთ აღვნიშნე ძირითადი მეთოდი, რომელსაც ვიყენებ, არის ბიოგრაფიულ-ნარატიული ინტერვიუ:¹⁵

ამ კვლევის ფარგლებში ჩემთვის ჰომოსექსუალის ცხოვრების ისტორია და მის მიერ განვლილი იდენტობის ჩამოყალიბების პროცესია ყველაზე საინტერესო; ბიოგრაფიულ-ნარატიული ინტერვიუს საშუალებით შესაძლებელია იმ მოვლენების რეკონსტრუქცია, რომლებიც მას გადახდენია და რომლებშიც მიუღია მონაწილეობა. ბიოგრაფიულ-ნარატიული ინტერვიუს “ძირითადი მიზანია ღრმად შევისწავლოთ ის პროცესები, რომლებმაც

¹³ ზურაბიშვილი თ. (2006) თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში. თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი გვ. 63-64

¹⁴ ლგბტ არის შემოკლებული სახელწოდება, რომელიც აღნიშნავს: ლესბოსელი, გეი, ბისეხუალი და ტრანსგენდერთა ჯგუფს

¹⁵ თარგმანი კრებულიდან: კვლევითი მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში (თვისებრივი მეთოდები). ბაკურიანი: სოციალურ მეცნიერებათა მხარდაჭერის პროგრამა, 24-30 ივლისი, 2001 წ. გვ 1

განაპირობეს, ან რომლებიც კვლავაც განაპირობებენ გამოსაკვლევ პირთა ცხოვრებას”¹⁶. შესაბამისად, ჩემი ინტერესიც იმაში მდგომარეობს, რომ გავიგო არის თუ არა სხვადასხვა პროცესები და ფენომენები კავშირში ამ კონკრეტული ადამიანის იდენტობის ფორმირებასთან.

როგორც ამ მეთოდის თეორეტიკოსი, გაბრიელე კაპაი გვიხსნის, ამ მეთოდის საშუალებით მკვლევარი გეგმავს მაქსიმალურად სრული სახით მოახდინოს შემდეგი მოვლენების რეკონსტრუქცია:

- ა) ინივიდის იმ მოვლენებში ჩართვის დინამიკა, რომლებმაც განაპირობეს, ან რომლებიც ჯერაც აპირობებენ მის ცხოვრებას;
- ბ) გამოცდილება, რომელიც ინდივიდმა დააგროვა ამ პროცესების გააზრების მცდელობისას;
- გ) ინტერპრეტაციის სქემები, რომლებსაც იგი იყენებს ამ მოვლენებთან დაკავშირებით და/ან მათი ახსნის მიზნით.¹⁷

იმავე წყაროს დახმარებით ვგებულობთ, რომ ძირითადი დაშვება, რომელიც საფუძვლად უდევს ბიოგრაფიულ-ნარატიულ ინტერვიუს, არის ის, რომ ამ ინტერვიუს საშუალებით, განსაკუთრებით კი იმ ფაქტის წყალობით, რომ იგი მკვლევარის მიერ არ იმართება, რესპონდენტის მიერ დაგროვილი გამოცდილება მჟღავნდება სპონტანურად და იგი შედარებით თავისუფალია თვით რესპონდენტის მიერ საკუთარ თავზე მოხვეული წინასწარი შეხედულებებისაგან. როგორც კი რესპონდენტი იწყებს თხრობას¹⁸ – ასეთია ძირითადი დაშვება – თხრობის ნაკადი აღარ არის სრულიად მართვადი. სტრუქტურირებულ ბიოგრაფიულ-ნარატიულ ინტერვიუში თხრობა მართავს მთხრობელს და არა პირიქით. ეს გარემოება ბიოგრაფიული ანალიზის მეშვეობით წარმართული გამოკვლევის აშკარა უპირატესობას წარმოადგენს. რადგან რაც უფრო ნაკლებად ერევა ინტერვიუერი რესპონდენტის თხრობაში მით მეტია ალბათობა მისგან მოვისმინოთ ისეთი ინფორმაცია, რომელიც თავისუფალი იქნება რაიმე ზეგავლენისაგან.

ინტერვიუს ჩაწერის მსვლელობისას მაქსიმალურად შევეცადე კარგად გამომეყენებინა ბიოგრაფიულ-ნარატიული ინტერვიუს ეს თვისება და ვცდილობდი დამესვა მხოლოდ კვლევისათვის აუცილებელი კითხვები; ძირითადად, ვიყავი ჩუმად და ვუსმენდი როგორ მართავდა თხრობის ნაკადი რესპონდენტის თხრობას.

იმავე ტექსტიდან ვგებულობთ ნარაციის ნაკადის უპირატესობების შესახებ: “სწორედ ნარაციის, თხრობის საშუალებით – რომელიც უნდა განვასხვავოთ გამართლებით და რეფლექსიით განპირობებული დისკურსისაგან – ნამდვილად შესაძლებელია დაგროვილი გამოცდილების მარაგის სააშკარაოზე გამოტანა. მართლაც, თეორიულ-რეფლექსიული ან გამართლებითი ხასიათის მსჯელობებს შეიძლება აღმოაჩნდეს დამამახინჯებელი გავლენა ცხოვრებისეული გზის რეკონსტრუქციაზე, რომელსაც მიმართავს რესპონდენტი. მაშასადამე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ბიოგრაფიულ-ნარატიული ინტერვიუს მსვლელობისას რესპონდენტი იქცევა როგორც საკუთარი წარსულის “არქეოლოგი” და შესაბამისად, ინტერვიუს ძირითადი მიზანია, დღის სინათლეზე გამოიტანოს საკუთარ წარსულში დამარხულ ფენათა მნიშვნელობა და საზრისი. როგორც კი ჩვენ მივინდობით ნარაციის ნაკადს – და ეს ბიოგრაფიულ-ნარატიული ინტერვიუს მეორე საბაზისო დაშვებაა, – მისი გაკონტროლება უკვე ძნელია. ისევე, როგორც ყოველდღიურ სიტუაციაში, ნარაციის ნაკადის

¹⁶ იქვე. გვ. 1

¹⁷ იქვე. გვ. 1

¹⁸ ეს თხრობა მოიცავს დროის მონაკვეთს ადრეული ბავშვობის მოგონებებიდან დღევანდელ მდგომარეობამდე.

გავლენიდან გათავისუფლების მცდელობა გამოიწვევს მეტყველების ნაკადის შეწყვეტას, უშინაარსობასა და აზრობრივ წინააღმდეგობებსაც კი.”¹⁹

ინტერვიუს ჩაწერისას გამოვიყენე ბიოგრაფიული-ნარატიული ინტერვიუს სამივე ფაზა, რომელსაც გვთავაზობს გაბრიელე კაპაი²⁰:

1) **თხრობის ფაზა:** რესპონდენტი აწარმოებს ავტობიოგრაფიულ თხრობას. ინტერვიუს პირველ ფაზაში თხრობის გაწყვეტინება არ შეიძლება. უნდა ავიტანოთ რესპონდენტის მხრიდან მეტ-ნაკლებად ხანგრძლივი პაუზები, ვინაიდან ამ ფაზაში ძალიან მნიშვნელოვანია, რომ რესპონდენტი დარჩეს ე.წ. ნარატიულ სიბტყეზე. სხვა სიტყვებით, მისი თხრობა უნდა იყოს მხოლოდ და მხოლოდ აღწერილობითი (“აი, ასე წარიმართა მოვლენები”) და არ გადაიქცეს არგუმენტაციად ან გამართლებად. ინტერვიუ, რომელიც თავიდანვე ამჟღავნებს მოვლენათა გამართლების, მოქმედებათა ახსნისა და თეორიული ფორმულირების ტენდენციას, არ შეესაბამება ჩვენთვის საინტერესო “ნარატიულ” ჟანრს. იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება ასეთ ტენდენციებს, ამგვარი ინტერვიუ უგულვებელყოფილი უნდა იქნეს.

2) **გარკვევის ფაზა:** ინტერვიუერი აზუსტებს განსაკუთრებით მნიშვნელოვან თემებს, რომლებსაც რესპონდენტი უკვე შეეხო ინტერვიუს მსვლელობისას, და ახლა საჭიროა მათი გაღრმავება. საქმე ეხება შემდეგს:

- ა) ასპექტები ან თემები, რომლებსაც რესპონდენტი ზერეულედ შეეხო, მაგრამ რომლებიც შესაძლოა მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს შემდგომი გამოკვლევისათვის (ჩვეულებრივ, ზერეულე გადმოცემას რესპონდენტი იმით ამართლებს, რომ თემები უმნიშვნელოა);
- ბ) თხრობის მონაკვეთები, რომლებიც გაუგებარია, ან არასაკმარისად არის გარკვეული აღწერილ მოვლენათა მიმდევრობა;
- გ) თხრობის მონაკვეთები, რომლებთან დაკავშირებითაც ეჭვი გვაქვს, რომ მოქმედებს “ავტოცენზურა” რესპონდენტის მხრიდან.

ინტერვიუს ამ მეორე ფაზაშიც შეკითხვების მიზანია რესპონდენტის მხრიდან შემდგომი “ნარატიულობის” გენერაცია. ეს მიზანი შეიძლება მიღწეულ იქნეს შემდეგნაირი კითხვების საშუალებით: “ეს მონაკვეთი ჩემთვის მთლად ნათელი არ არის, შეგიძლიათ უფრო მეტი მომითხროთ ამის შესახებ?”²¹ სწორედ ბიოგრაფიული ინტერვიუს ამ ფაზაზე იქნება გამოყენებული კითხვები ლგბტ ზეპირი ისტორიის კითხვარიდან და დაისმება მხოლოდ ის კითხვები, რომლებიც მე მოვინიშნე და მაინტერესებს.

3. **არგუმენტირების ფაზა.** ინტერვიუერი მოუწოდებს რესპონდენტს, მოვლენებისაგან განკერძოებული, უფრო ზოგადი აღწერა მოახდინოს.

ინტერვიუს მხოლოდ ამ, მესამე, ფაზაში სვამს ინტერვიუერი შეკითხვებს, რომელთა მიზანია რესპონდენტის მხრიდან მოვლენათა უფრო ზოგადი და სისტემური ანგარიშის გენერაცია. მხოლოდ ამ დროსაა ნებადართული შეკითხვები, რომლებიც უბიძგებს რესპონდენტს თავის თავზე აიღოს თეორეტიკოსის როლი. ინფორმანტი ამ შემთხვევაში ისე იქცევა, როგორც პრობლემის “ექსპერტი”.

მართალია შევეცადე დამეცვა აღნიშნული ფაზები, თანმიმდევრობაში მოხდა გარკვეული გადანაცვლებები: გარკვევის ფაზას ვიყენებდი დანარჩენი ორი ფაზის დროს; კითხვებს ვსვავდი მაშინ, როდესაც რაიმე ძალიან გაუგებარი იყო ჩემთვის და იმ შემთხვევაში თუ

¹⁹ თარგმანი კრებულიდან: კვლევითი მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში (თვისებრივი მეთოდები). ბაკურიანი: სოციალურ მეცნიერებათა მხარდაჭერის პროგრამა, 24-30 ივლისი, 2001 წ. გვ. 1

²⁰ იქვე. გვ.1

²¹ იქვე. გვ.4-5

ამას საჭიროდ ჩავთვლიდი, ვინაიდან ბიოგრაფიულ-ნარატიული ინტერვიუს ჩაწერისას ძალიან დიდია რისკი, რომ მოყოლის დროს მკვლევარის მიერ დასმულმა შეკითხვამ გამოიწვიოს თხრობის ნაკადის შეწყვეტა და ყველაფრის წყალში ჩაიყაროს.

ამ სამი ფაზის გამოყენების შედეგად უნდა მივიღოთ ტექსტი (ჯერ დიქტოფონზე ჩაწერილი, ხოლო შემდეგ – გაშიფრული), რომელიც ასახავს ერთი კონკრეტული ბიოგრაფიის განვითარებას. სწორედ მიღებული ტექსტია ჩვენთვის პირველადი სოციოლოგიური მასალა, რომელიც გვეხმარება კვლევითი კითხვების დამუშავებაში. ჩემი კვლევის შემთხვევაში, მიღებული მასალა დამეხმარა არა მხოლოდ კვლევითი კითხვების დამუშავებაში, არამედ მათ ფორმულირებაშიც.

ტექსტის გაანალიზებისას გამოვიყენე ბიოგრაფიულ-ნარატიული ინტერვიუს ინტერპრეტაციის ფაზები,²² რომლებზეც ვრცლად ვილაპარაკებ მოგვიანებით.

შემდეგი მეთოდი, რაც გამოყენებული მაქვს ჩემს კვლევაში, არის ცხოვრების ისტორიის ელემენტების – პირადი დოკუმენტების, მოთხრობების, ჩანაწერებისა და ლექსების შესწავლა. სწორედ ეს არის მითითებული კლიფორდ შოუს წიგნის წინასიტყვაობაში. აქ წერია, რომ ცხოვრების ისტორიის ჩაწერისას კარგია თუ შესწავლილი იქნება სურათები, წერილები, ლექსები, მოთხრობები, დღიურები, ჩანახატები და ა.შ. მაშინ, როდესაც ჩვენთვის სანტერესო ინფორმაცია არ არის საკმარისი, ზემოთ ჩამოთვლილი მასალის ანალიზი სთავაზობს მკვლევარს ახალ ცვლადებს, კითხვებსა და პროცესებს, იყენებს მდიდარ, არასისტემურ მონაცემებს კვლევის რეორიენტაციისათვის.²³

ცხოვრების ისტორია მნიშვნელოვანია იმ გავლენის შესასწავლად, რასაც სოციალური ინსტიტუტები ახდენენ ინდივიდებზე, ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ ეს გავლენა და მისი შედეგები აღწერილია იმ ადამიანის მიერ, ვისზეც მოხდა ზეწოლა. ერთი მხრივ, ბიოგრაფიულ-ნარატიული ინტერვიუს ფოკუსი თხრობაზე და თხრობის ნაკადზე, ხოლო მეორე მხრივ, ცხოვრების ისტორიის მიდგომა რესპონდენტის პოზიციიდან დანახული სამყაროს მიმართ, მეტად ნაყოფიერია და საშუალებას იძლევა უკეთ მოვარგოთ ინფორმაცია და გავაკეთოთ უფრო სიღრმისეული დასკვნები.

ვინაიდან ჩემი საკვლევო კითხვებიდან ერთ-ერთი ეხება ოჯახის ფენომენის გავლენას ჰომოსექსუალის ცხოვრებაზე, ცხოვრების ისტორია, როგორც მეთოდი, რომლის დახმარებითაც შეგვიძლია გავარკვიოთ სოციალური ინსტიტუტების ზეგავლენა პიროვნებებზე კარგად მიესადაგება მას.

გარდა იმისა, რომ ამ მეთოდის გამოყენება გამოსადეგია ჩემი კვლევის მიზნებისათვის, ზოგადად, სამომავლოდ ასე შევსებული ერთი ადამიანის ბიოგრაფიით შესაძლებელია თითქმის ყველა სოციალური ინსტიტუტის გავლენის შეფასება ამ ადამიანზე, ვინაიდან თხრობისას რესპონდენტი შეეხო ძალიან ბევრ სიტუაციას, სადაც კარგად აქვს აღწერილი თავისი დამოკიდებულება და შეხედულებები საზოგადოებაში არსებული ინსტიტუტების მიმართ.

და ბოლოს, გამოვიყენე ზეპირი ისტორიის ელემენტები. მას შემდეგ, რაც დავასრულე ბიოგრაფიულ-ნარატიული ინტერვიუს და ცხოვრების ისტორიის ჩაწერა, რესპონდენტს დავუსვი კითხვები, რომლებიც მე მაინტერესებდა კვლევის მიზნებიდან გამომდინარე. დამატებითი კითხვები გამოვიყენე ლგბტ ადამიანებისათვის შექმნილ ზეპირი ისტორიებისათვის სპეციალურად შექმნილი კითხვარიდან. დავსვი ისეთი კითხვები, რომლებიც ჩემი კვლევითი კითხვებისათვის საჭირო ინფორმაციის ამოსაღებად იყო შესაფერისი. ესენია:

²² შეგიძლიათ იხილოთ იგივე თარგმანში.

²³ Shaw C.R. (1966) *The Jack-Roller*. Chicago&London: The University of Chicago Press; introduction, pp. XII

1. რამ განაპირობა შენი იატაკვემეტიდან გამოსვლა?
2. როგორ განსაზღვრავ „იატაკვემეტიდან გამოსვლის,, ფენომენს?
3. რას ნიშნავდა შენთვის იატაკვემეტიდან გამოსვლა გამომჟღავნებამდე?
4. სად და რა მიზნით შეხვდი პირველად ლგბტ ადამიანებს?

ეს კითხვარი სრულად შეგიძლიათ იხილოთ ინტერნეტ საიტზე: www.lgbthistorynw/quest.htm
გარდა კითხვარიდან დასმული შეკითხვებისა, რესპონდენტს დავუსვი ჩემივე კვლევითი ინტერესებიდან გამომდინარე ღია ტიპის შეკითხვები:

1. გთხოვ, ჩამომითვალო ის ძირითადი მიზეზები, რომელთა გამოც შენ მალავდი და/ან დღემდე მალავ შენს ორიენტაციას;
2. როგორ შეიცვალა შენი დამოკიდებულება გამომჟღავნების ფენომენტთან მიმართებაში მას შემდეგ, რაც გაგიჩნდა საკუთარი შემოსავლის წყარო?
3. რატომ არ ეუბნები შენი ორიენტაციის შესახებ მშობლებს?

ამ კითხვების დასმა იმიტომ გადაწყვიტე, რომ რესპონდენტმა საკუთარი მონაცემების გარდა დამატებითი ინფორმაცია მოგვაწოდოს. ზეპირი ისტორიის სპეციალური კითხვების გამოყენებით ჩვენ შევძლებთ რესპონდენტს გავახსენებინოთ ის, რაც მანამდე ვერ ამოიღო ვერც ბიოგრაფიულ-ნარატიულმა ინტერვიუმ და ვერც დოკუმენტების და ჩანაწერების შესწავლამ.

მთლიანობაში ჩემს მიერ განხილული მეთოდები ძალიან გავს ერთმანეთს. სამივეს მიზანია წარსული ცხოვრების რეკონსტრუქცია, პროცესის შესწავლა და ინდივიდის იმ მოვლენებში ჩართულობისა და არსებობის ფენომენის გამოკვლევა, რომლის რეკონსტრუქციასაც ახდენს თავად. ვფიქრობ როდესაც საქმე გვაქვს ერთ შემთხვევასთან, ამ სამი მეთოდის გაერთიანებით უფრო მეტ და სიღრმისეულ ინფორმაციას მივიღებთ რესპონდენტის ცხოვრების შესახებ. ეს კი, თავისთავად, ძალიან დამეხმარა იმ საკვლევო კითხვების ჩამოყალიბებასა და შესწავლაში, რომლებიც გამიჩნდა კვლევის მსვლელობისას.

და ბოლოს, მინდა აღვნიშნო, რომ ამ მეთოდების ერთად გამოყენება არ გულისხმობს რაიმე თანმიმდევრობას, არამედ, როგორც ჩატარებულმა ინტერვიუმ უჩვენა, უმჯობესია მათი გამოყენება მაშინ, როდესაც მკვლევარი ჩათვლის საჭიროდ კვლევის ამოცანებიდან და იმ სიტუაციიდან გამომდინარე, რომელშიც მიმდინარეობს ინტერვიუს პროცესი. მთლიანობაში, ჩატარებულმა სავსელე სამუშაოებმა დამარწმუნა, რომ რაც უფრო თავისუფალი იქნები სხვადასხვა თეორიული და მეთოდური მიდგომებისა და პირადი ინტერესებისაგან კვლევის პროცესში, მით უფრო ნაკლებად დაგებადება მიკერძოებული კვლევითი კითხვები და მით უფრო ნაკლებად იქნება მიღებული შედეგები ტენდენციური. სწორედ ამ მიზნით შევარჩიე კვლევის თემა და შემდეგ უკვე კვლევის მსვლელობისას შევეცადე არ გადამეხვია არჩეული გზიდან.

როგორ ჩატარდა სავსელე სამუშაოები:

მას მერე რაც შევარჩიე რესპონდენტი, მალევე შევთანხმდით პირველი ინტერვიუს ჩაწერის თარიღზე. კვლევის განმავლობაში არც შეხვედრის თარიღის შერჩევისას უნდა მოხდეს ხისტი განსაზღვრები. ვხვდებოდით მაშინ, როდესაც ორივეს გვსურდა, რომ სწორედ ამ მიზნით შევხვედროდით ერთმანეთს. ვინაიდან უმჯობესი იყო მოგვეძებნა ისეთი გარემო, სადაც ხელისშემშლელი ფაქტორები მინიმუმამდე იქნებოდა დაყვანილი, გადავწყვიტეთ ერთმანეთს შევხვედროდით ბინაში, სადაც არავინ იქნებოდა ჩვენს გარდა. ასეთ ადგილად,

საბოლოოდ, ამოვირჩიეთ რესპონდენტის ბინა, სადაც რესპონდენტის გარდა არავინ ცხოვრობს. ინტერვიუს ჩაწერის მიზნით სულ მოხდა ოთხი შეხვედრა, აქედან სამჯერ შევხვდით რესპონდენტის სახლში და მხოლოდ ერთხელ ჩემს ბინაში. ეს ოთხი შეხვედრა გადანაწილდა დაახლოებით 5 თვეზე.

როგორც ლიტერატურიდან ვგებულობთ, ნარატიული ინტერვიუს ხანგძლივობა ყველაზე ნაკლები ერთი საათი და ყველაზე მეტი სამი საათია. ამ პროცესის ეფექტურად წარმართვაში ბევრია დამოკიდებული არა მარტო რესპონდენტის კეთილგანწყობაზე, არამედ ინტერვიუერის კომპეტენტურობაზე. არსებობს ელემენტები, რომლებიც ამ უკანასკნელმა არ უნდა გამოტოვოს და აგრეთვე მომენტები, რომლებსაც მან თავი უნდა აარიდოს.

ჩემს მიერ ჩაწერილი ბიოგრაფიულ-ნარატიული ინტერვიუ ზეპირი ისტორიის ელემენტების და კითხვების დასმის ჩათვლით სულ გამოვიდა 4 საათი და 25 წუთი.

კვლევის დაწყებამდე რესპონდენტს ვაცნობე კვლევის საგანი და საუბარი გვექონდა კვლევის მონაცემების ანონიმურობის თაობაზე, თუმცა კვლევის დასრულებამდე არ გამინდვია მისთვის კვლევითი კითხვებისა და ჰიპოთეზების შესახებ. ამით თავი დავიზღვიე, იმისაგან, რომ მისი მონაყოლი კითხვების ზეგავლენის ქვეშ არ მოქცეულიყო. ინტერვიუს დასრულების შემდეგ მასვე მივანდე ცხოვრების ისტორიის განმავლობაში დასახელებული საკუთარი სახელების, პროფესიებისა და სიტუაციების შეცვლა, რაც შეამცირებს მისი იდენტიფიცირების ალბათობას. ასევე, კვლევის დაწყებისთანავე შევთანხმდით, რომ რესპონდენტის მონაყოლს ჩავიწერდი დიქტოფონზე და აღნიშნული ჩანაწერი არ იქნებოდა გამოყენებული მის წინააღმდეგ. თავის მხრივ, რესპონდენტმაც გამაფრთხილა, რომ შეიძლება მოეყოლა ისეთი ფაქტები, რომლებიც უცხო და გაუგებარი იქნებოდა ჩემთვის და ეს მონაყოლი მომაცენებდა დარტყმებს. საბოლოოდ ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე დავიწყეთ ინტერვიუს ჩაწერა.

ინტერვიუს ჩაწერის შემდეგ რესპონდენტს გადავეცი მთლიანი ტრანსკრიპტი. ეს გავაკეთე ორი მიზეზის გამო: ერთი, რომ წაეკიხთა და დარწმუნებულიყო, რომ არაფერი შემიცვლია ტექსტში და მეორე, რომ დაემატებინა ის მომენტები, რომლებიც მნიშვნელოვანი იყო მის ცხოვრებაში და გამორჩენილი ჰქონდა ინტერვიუს დროს.

ვინაიდან ჩემს მიერ არჩეულ ძირითად მეთოდს წარმოადგენდა ბიოგრაფიულ-ნარატიული ინტერვიუ, დასაწყისიდანვე შევეცადე ინტერვიუს მსვლელობისას არ დამესვა კითხვები და მთლიანად მივეყოლოდი რესპონდენტის თხრობას. ეს ასეც მოხდა, ოთხივე შეხვედრისას თხრობა ისე წარიმართა, რომ მე თითქმის არ დამჭირვებია კითხვების დასმა. მხოლოდ ბოლოსკენ, ბიოგრაფიულ-ნარატიული ინტერვიუს მეორე და მესამე ფაზებში დავუსვი რესპონდენტს რამდენიმე შეკითხვა, რომლებიც, როგორც ზემოთ აღვნიშნე, გამომდინარეობდა კვლევის ინტერესებიდან. ინტერვიუს განმავლობაში ვცდილობდი გამომემჟღავნებინა ინტერესი და მონაწილეობა. მიუხედავად იმისა, რომ ვერიდებოდი თანხმობის გამომხატველ ჟესტებს, ხშირად ეს თავისდაუნებურად მემართებოდა. მაგრამ ეს არ არის საგანგაშო, ვინაიდან ბიოგრაფიულ-ნარატიული ინტერვიუს ჩაწერის მსვლელობისას ეს თეორიულად დასაშვებია.

საბოლოოდ მივიღე ტრანსკრიპტი 99 გვერდის მოცულობით, რომელიც მოგვიანებით გასუფთავდა ინტერპრეტაციის მიზნით.

კვლევითი კითხვები:

როგორც დასაწყისში აღვნიშნე, მონაცემებზე დაფუძნებული თეორიის ფარგლებში ჩემს მიზანს წარმოადგენდა მხოლოდ შეგროვილ მონაცემებზე დაყრდნობით ჩამომეყალიბებინა კვლევითი კითხვები.

საბოლოოდ მაქვს ორი საკვლევო კითხვა, რომლებიც მხოლოდ მას შემდეგ გამიჩნდა, რაც დავიწყე კვლევა და გავეცანი დღეისათვის ჩემს ხელთ არსებულ პირველად სოციოლოგიურ მონაცემებსა და ლიტერატურას. კვლევითი კითხვები უშუალოდ მონაცემებიდან იქნა დასმული, ხოლო ლიტერატურის, სხვადასხვა კვლევების გაცნობა დამეხმარა იმაში, რომ გამეგო სხვა კვლევითი კითხვების შესახებ, რომლებიც მანამდე იმ კვლევებში იყო დასმული. კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ ეს კითხვები და მასზე გაცემული პასუხები ეხება მხოლოდ ამ ერთ ადამიანს და არ ექვემდებარება არანაირ განზოგადებას.

ამ კვლევით კითხვებს წინ უსწრებდა მსჯელობები, რომელთა საფუძველზეც მოხდა მათი ფორმულირება.

მსჯელობა 1:

ინტერვიუს მსვლელობისას რესპონდენტმა რამდენჯერმე ახსენა მატერიალური დამოკიდებულება მშობლებსა და ნათესავებზე, შესაბამისად, განვავითარე შემდეგი მსჯელობა: მატერიალური დამოკიდებულება დიდ როლს თამაშობს ზოგადად მოზარდების და არამართო მოზარდების ცხოვრებაში და მათ მიჯაჭვულს ხდის ოჯახსა და მშობლებზე. მითუმეტეს რთულადაა მდგომარეობა ჰომოსექსუალი ახალგაზრდების/ადამიანების შემთხვევაში (ფონდი ინკლუზივის ხელთ არსებული ქეისებში ბევრი შემთხვევაა, როდესაც მშობლები ბოროტად იენებენ შვილების მატერიალურ დამოკიდებულებას და აიძულებენ მათ შეიცვალონ ქცევა, “იმკურნალონ” და ან საერთოდ, მიმართოდ ასექსუალური ცხოვრების პრაქტიკას.) ვინაიდან, თუ ისინი დამოკიდებულნი არიან სხვაზე მატერიალურად, უფრო მეტად ცდილობენ დამალონ თავიანთი ორიენტაცია, რადგან ეშინიათ, რომ სიმართლის გაგების შემთხვევაში მშობლები (ან ისინი, ვიზეც დამოკიდებულნი არიან მატერიალურად) შეუწყვეტენ დახმარებას, აღმოჩნდებიან ულუკმაპუროდ და თავშესაფრის გარეშე. ამიტომ ისინი ცდილობენ, რომ არ გამოამჟღავნონ საკუთარი ორიენტაცია იმ ადამიანებთან ვისზედაც დამოკიდებულნი არიან მატერიალურად.

მსჯელობა 2:

როგორც ინტერვიუს მსვლელობისას, ასევე რესპონდენტის ჩანაწერებსა და წერილებში, მრავალჯერ იყო ნახსენები იძულებითი იატაკქვეშეთიდან გამოსვლის ფენომენი. აქედან გამომდინარე, განვავითარე მსჯელობა, რომ თუ ჰომოსექსუალი ცხოვრობს ვინმესთან ერთად, ვისაც უმაღლავს თავის რეალურ ორიენტაციას და ცდილობს თავი მოაჩვენოს ჰეტეროსექსუალად, მაშინ უფრო მეტია მის ცხოვრებაში ალბათობა იმის, რომ მისმა ოჯახის წევრმა შეამჩნიოს მას განსხვავებული ქცევა, დაზნეულობა, უჩვეულო ხასიათი, “გაქექოს და გამოიკვლიოს მისი პირადი დოკუმენტები, ჩანაწერები, სატელეფონო ზარები, მიმოწერა და მიხვდეს რამეს”. შესაბამისად, ჰომოსექსუალს მოსთხოვენ ახსნას თავისი განსხვავებულობა და

უცნაურობა და მოახდენენ ზემოქმედებას, რომ მან იძულებით გამოამჟღავნოს თავისი ორიენტაცია.

ჩამოყალიბებული მსჯელობების საფუძველზე მაქვს შემდეგი კითხვები:

კვლევითი კითხვა 1. ახდენს თუ არა ჰომოსექსუალის²⁴ მატერიალური მდგომარეობა ზეგავლენას იატაკვეშეთიდან მისი გამოსვლის პროცესზე?

კვლევითი კითხვა 2. დაკავშირებულია თუ არა ჰომოსექსუალის იძულებით ‘იატაკვეშეთიდან გამოსვლასთან’,²⁵ მისი ცხოვრება ოჯახის წევრების გარემოცვაში?

და ჰიპოთეზები

ჰიპოთეზა 1: მატერიალური დამოუკიდებლობა კავშირშია ჰომოსექსუალის გამჟღავნების ხარისხთან. რაც უფრო დამოუკიდებელია მატერიალურად ჰომოსექსუალი, მით უფრო ნაკლებ მალავს თავის რეალურ ორიენტაციას;

ჰიპოთეზა 2: ჰომოსექსუალის ცხოვრება ოჯახის წევრებთან ერთად განაპირობებს მის იძულებით იატაკვეშეთიდან გამოსვლას ოჯახის რომელიმე წევრთან.

მოგვიანებით, ტექსტის გაანალიზების შემდეგ, შევეცდები პასუხი გავცე ამ კვლევით კითხვებს და ვისაუბრო რესპონდენტის, როგორც ჰომოსექსუალი ადამიანის, გამოცდილებასა და ცხოვრებისეულ თავისებურებებზე.

ტექსტის ანალიზი

იმისათვის, რომ ჩემს მიერ დასმული კვლევითი კითხვებისათვის გამეცა პასუხი და შემექმნა ჰომოსექსუალური იდენტობის ფორმირების ექსკლუზიური მოდელი ამ ერთი ჰომოსექსუალი ადამიანის მაგალითზე, საჭირო იყო ჩაწერილი ტექსტის გაანალიზება. ჩაწერილი ტექსტის გასაანალიზებლად, როგორც უკვე აღვნიშნე, გამოვიყენე ბიოგრაფიულ-ნარატიული ინტერვიუს ინტერპრეტაციული ფაზები. ქვემოთ მოკლედ მიმოვიხილავ ამ ფაზებს და აღვწერ, თუ რატომ და როგორ გამოვიყენე ისინი.

როგორც გაბრიელ კაპაი გვიხსნის, ინტერვიუს ინტერპრეტაციის მთავარი მიზანი მოვლენათა ობიექტური განვითარების რეკონსტრუქცია ან მათი განხორციელების რეალური თანამიმდევრობის დადგენა როდია. ეს მიზანი მდგომარეობს რესპონდენტის თვალსაზრისის გამოამჟღავნებასა და მისი ცხოვრებისეული გამოცდილების გამოამჟღავნებაში. ანალიზის ცენტრში დგას ის გზა, რომლის გავლის შემდეგ თანდათანობით ჩამოყალიბდა ინდივიდის აზროვნებისა და მოქმედების ფორმები. უპირველეს ყოვლისა, გვინტერესებს იმ “საორიენტაციო სქემების” გაგება, რომელთა მიხედვითაც განპირობებულ იქნა წარსულში ინდივიდუალური მოქმედება და რომლებიც, შესაძლოა, დღესაც გავლენას ახდენენ მასზე.²⁶

²⁴ ამ შემთხვევაში და შემდეგშიც სადაც ვიხმარებ სიტყვა ჰომოსექსუალს კვლევით კითხვებსა და ჰიპოთეზებში, გულისხმობ მხოლოდ ჩემს რესპონდენტს. ნებისმიერი სახის განზოგადება ეხება მხოლოდ ამ ადამიანს.

²⁵ ოჯახის წევრებთან გამჟღავნებას

²⁶ თარგმანი კრებულიდან: კვლევითი მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში (თვისებრივი მეთოდები). ბაკურიანი: სოციალურ მეცნიერებათა მხარდაჭერის პროგრამა, 24-30 ივლისი, 2001 წ. გვ 5

ეს სრულიად მიესადაგება ჩემი კვლევის მიზანს, მე მჭირდება რესპონდენტის იმ გზის შედგენა და ინტერპრეტაცია, რომლის გავლითაც ის ჩამოყალიბდა ისეთ ადამიანად, როგორც დღეს არის.

ქვემოთ მოკლედ დავახასიათებ კაპაის მიერ შემოთავაზებულ იმ ინტერპრეტაციულ ფაზებს, რომელიც შესაბამისია ჩემს მიერ ჩაწერილი ცხოვრების ისტორიის ანალიზისათვის:

პირველი ფაზა, რომელიც გამოვიყენე არის ტექსტის ფორმალური ანალიზი

როგორც ლიტერატურაში ვკითხულობთ²⁷ ამ ფაზაში ინტერპრეტატორის დანიშნულებაა, ნარატიული მიმდევრობის გამორჩევა და მისი გამოყოფა არანარატიული მიმდევრობებისაგან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საქმე ეხება ტექსტის “გასუფთავების” მსგავს სამუშაოს. ამგვარი პროცედურის მიზანია იმ პირობების შექმნა, რომლებშიც შესაძლებელი იქნება თავიდანვე მოვახდინოთ კონცენტრირება ინტერვიუს იმ ნაწილებზე, რომლებიც ამჟღავნებენ ნარატიულობის მაღალ დონეს, და გამოვრიცხოთ (მხოლოდ დროებით) მონაკვეთები, რომლებიც შეიცავენ არგუმენტაციას, შეფასებებს და თეორიულ ახსნას. შესაბამისად ჩაწერილი ინტერვიუს ტრანსკრიპტის გაკეთების შემდეგ პირველი რაც გავაკეთე იყო ტექსტის ფორმალური ანალიზი, მთლიანად გამოვყავი ის მონაკვეთები სადაც რესპონდენტი აწარმოებს სუფთა სახის თხრობას, ხოლო ცალკე – ის მონაკვეთები სადაც ახდენს შეფასებებს და შედარებებს.

მეორე ფაზა არის ტექსტის სტრუქტურულ-შინაარსობრივი აღწერა, რომელიც გულისხმობს ტექსტის სტრუქტურულ და შინაარსობრივ აღწერას (იმდენად, რამდენადაც ტექსტი ინტერვიუს ტრანსკრიფციას წარმოადგენს).

ინტერვიუ უნდა გადავამუშავოთ იმ თვალსაზრისით, რომ გარკვეულად გამოჩნდეს მისი შემდეგი მახასიათებლები: ა) კავშირები და ზმნიზედები, რომლებიც აღნიშნავენ უწყვეტობას, განვითარებასა და განტოტებას (“მერე”, “რადგან”, “იმ მიზნით, რომ”, “იმის მაგიერ, რომ”, და სხვ.); ბ) ელემენტები, რომლებიც ახდენენ დროითი დინამიკისა და დინების მარკირებას (“მოულოდნელად”, “უკვე მაშინ”, “დღესაც კი”); გ) ელემენტები, რომლებიც აღნიშნავენ თხრობაში დამაჯერებლობის ნაკლებობას (ყოყმანი, თვითშესწორება, და ა.შ.). ეს გვეხმარება დროის მიხედვით გავასუფთავოთ ჩანაწერი.

უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია გამოვავლინოთ ტექსტის ის ელემენტები, რომლებიც აღნიშნავენ ცხოვრების ერთი ეტაპის დასრულებას და მეორე ეტაპის დაწყებას, და ამგვარად გავარკვიოთ ამ პროცესის დინამიკა. მაგრამ სტრუქტურული აღწერის გარდა, ამას აქვს დანიშნულება, გამოამჟღავნოს ბიოგრაფიული პროცესის კომპლექსური, რთული სტრუქტურა: ის სიტუაციები და მოვლენები, რომლებიც წარმოადგენდნენ აქტორთა მიერ დაწყებული იმ პროცესების შედეგებს, რომლებიც დაკავშირებულია სოციალურ ინსტიტუტებთან, ზღვრულ სიტუაციებთან, რაიმე განსაკუთრებული პროცესის კულმინაციურ ფაზებთან, გარკვეულ მოვლენებში პასიურ ჩართულობასთან, დრამატულ განვითარებასთან, თანდათანობით ცვლილებებთან, მოქმედების დაგეგმარებასა და განხორციელებასთან და ა.შ. ანალიზის ამ ფაზაში მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ ნარატიულობის დონის შესაძლო დადაბლება და მთხრობელის მიერ საკუთარი თავის შესწორება ან ყოყმანი თხრობის პროცესში.

ამ ფაზის დახმარებით მოვახდინე ტექსტის დაყოფა დროის მონაკვეთების მიხედვით. დავანაწევრე რესპონდენტის ცხოვრება ეტაპებად, რამაც უფრო მეტად გამიადვილა ტექსტის ცნობა და გაზარდა გამოყენების შესაძლებლობები.

²⁷ იქვე, გვ.6

მესამე ფაზა არის ანალიზური აბსტრაქცია. ამ ფაზაში კვლევის მიზანს წარმოადგენს ცხოვრების იმ განცალკევებული პერიოდების ფარგლებს გარეთ გამოსვლა, რომლებიც გამოიყოფა სტრუქტურულ-შინაარსობრივი აღწერის შედეგად. ამ ფაზის განმავლობაში უნდა ვეცადოთ ბიოგრაფიული პროცესის გავრცელებული სქემების იდენტიფიკაციის მოხდენა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საქმე ეხება ბიოგრაფიული პროცესის იმ სტრუქტურათა გარკვევას, რომლებიც მართავენ სუბიექტის ცხოვრებისეულ გამოცდილებას. ამ ფაზაში უნდა გამოვყოთ ზოგადი, აბსტრაქტული მოსაზრებები მაგალითად: ცხოვრება რთულია ჰომოსექსუალი ადამიანებისათვის, ადამიანი უნივერსიტეტს, რომ დავამთავრებ უნდა ჰქონდეს კარგი შემოსავალი.... როდესაც პირველად მქონდა სექსი ძალიან დიდი ვიყავი. ამ ფაზის დახმარებით გავარკვეე მისი დამოკიდებულებები სხვადასხვა ინსტიტუტების და ფენომენების შესახებ.

მხოლოდ მეოთხე ფაზაში შეიძლება ადგილი ჰქონდეს ე.წ. “ცოდნის ანალიზს”, ანუ ანალიზს, რომელიც საშუალებას იძლევა გავარკვიოთ, თუ საკუთარი ცხოვრებისეული გზის რა ცოდნა აქვს ინდივიდს, რა მხრიდან უყურებს იგი საკუთარ ბიოგრაფიას.

კაპაის რჩევით ამ ფაზაში მხედველობაში უნდა მივიღოთ თხრობის ის მონაკვეთები, რომლებშიც რესპონდენტი მიმართავს არგუმენტაციურ სტრუქტურებსა და თეორიულ ცოდნას. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, საქმე ეხება იმ პასაჟებს, რომელთა განმავლობაში მთხრობელი განიხილავს საკუთარ ისტორიასა და იდენტიფიკაციას. ინტერპრეტაცია ამ ფაზაში უპირველეს ყოვლისა მიზნად ისახავს ფოკუსირება მოახდინოს ბიოგრაფიული პროცესის მმართველ სხვადასხვა ფუნქციებზე. იგულისხმება ორიენტაციული, ინტერპრეტაციული, თვითდებინიციური, ლეგიტიმაციური და სხვა ფუნქციები. ამ ფაზის განმავლობაში მნიშვნელოვანია მხედველობაში მივიღოთ, რომ აქ ინტერპრეტაცია ეხება ინტერვიუს როგორც ნარატიულ, ასევე არგუმენტაციულსა და თეორიულ მხარეებს.

და ბოლოს არის ფაზა, რომლის დახმარებითაც ხდება თეორიული მოდელის აგება.

როგორც ავტორი გვიხსნის მხოლოდ ამ ბოლო ფაზაში არსებობს შესაძლებლობა, რომ დავადგინოთ ის პირობები, საშუალებები და პრობლემეტიკა, რომელთა მიხედვითაც ერთმანეთისაგან გამოირჩევა ინდივიდთა გარკვეული ჯგუფები. მხოლოდ ამ ეტაპზე შევძლებთ ვუპასუხოთ, მაგალითად, შემდეგი ხასიათის შეკითხვას: რა ბიოგრაფიული პროცესები განასხვავებს ერთმანეთისაგან ქრონიკულ ავადმყოფებს, დანაშაულებრივი ორგანიზაციების წევრებს, დიდი საწარმოების მენეჯერებსა და ემიგრანტების გარკვეულ ჯგუფს? ჩემი კვლევის შემთხვევაში მხოლოდ ამ ფაზის დროს არის შესაძლებელი იმ ექსკლუზიური მოდელის აგება, რომელიც დასაწყისში კვლევის მიზნების ჩამოყალიბებისას ვახსენე.

ამ ინტერპრეტაციული ფაზების გამოყენების შედეგად მივიღე დამუშავებული ტექსტი, რომლიდანაც უკვე ძალიან გამიადვილდა იმ მონაკვეთების ამოღება და გამოყენება, რომელიც საჭირო იყო ჩემს მიერ დასმული კვლევით კითხვებზე პასუხის გასაცემად.

რესპონდენტის კომიანია და შედეგები

ტრანსკრიპტის გაკეთების შემდეგ მთლიანი ტექსტი გავუგზავნე რესპონდენტს. მან გააკეთა პატარა ჩასწორებები და შეცვალა საკუთარი სახელები, რომლებიც ნახსენები ქონდა ცხოვრების ისტორიაში. შემდეგ ბიოგრაფიულ-ნარატიული ინტერვიუს ინტერპრეტაციული ფაზების გამოყენების საფუძველზე, მივიღე გასუფთავებული და დროითი თანმიმდევრობის მიხედვით დალაგებული ტექსტი, რომლის შემადგენლობაში აგრეთვე შედიოდა ზეპირი

ისტორიის ჩაწერისას დასმულ რამდენიმე შეკითხვაზე გაცემული პასუხი. ამ ტექსტის გარდა ხელთ მქონდა რესპონდენტის რამდენიმე წერილი, სადაც იგი დაწვრილებით აღწერს თავისი იატაკვეშეთიდან გამოსვლის ერთ-ერთ შემთხვევას და რამდენიმე მოთხრობა, რომელიც ჩემს მიერ დასმულ კვლევით კითხვებს არ ეხებოდა, თუმცა ამ ადამიანის ცხოვრების ისტორიაში ძალიან მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. მას მერე, რაც ეს ყველაფერი მოვაგროვე, დავიწყე მასალის გამოყენება კვლევით კითხვებზე პასუხის გასაცემად.

ჩემს მიერ დასმული პირველი კვლევითი შეკითხვით, **“ახდენს თუ არა ჰომოსექსუალის მატერიალური მდგომარეობა ზეგავლენას იატაკვეშეთიდან მისი გამოსვლის პროცესზე?”** ვგებულობთ, რომ კავშირი რესპონდენტის იატაკვეშეთიდან გამოსვლასა და მის მატერიალურ მდგომარეობას შორის არსებობს, თუმცა ეს კავშირი გადამწყვეტი არ არის. თავდაპირველად რესპონდენტი იწყებს ბავშვურ სექსუალურ თამაშს ბიჭთან და ეს თამაში გრძელდება დაახლოებით სამი წელი, ისე, რომ ვერავინ გებულობს. რესპონდენტს მხოლოდ მაშინ ეწყება გამომჟღავნების შიში, როდესაც იგი ცდილობს სხვა ბავშვთანაც სცადოს სექსუალური თამაშები და მისგან უარს ღებულობს. შესაბამისად, მას ეწყება შიშები, რომ ის ბავშვი, რომელიც მას არ დათანხმდა ჰომოსექსუალური ტიპის თამაშზე, ეტყვის ვიღაცას და სხვა გაიგებს მისი ქცევის შესახებ; მალევე ახსენდება მშობლები და ეწყება ენით აუწერელი შიში. თუმცა ინტერვიუს მსვლელობისას რესპონდენტს არ დაუსახელებია შიშის საფუძვლად ის, რომ მისი ჰომოსექსუალური ქცევის გაგების შემთხვევაში მშობლები მას გააგდებდნენ სახლიდან, შუწყვეტდნენ ფინანსურ დახმარებას და ის აღმოჩნდებოდა უსახლკარო და ულუკმაპურო მდგომარეობაში. როგორც რესპონდენტი ყვება: *“აი ძალიან ისტერიკულად მეშინოდა, საშინლად მეშინოდა, იმისი, რო ეს გაეგო დედაჩემს ან მამაჩემს ყველაზე მეტად რა, ან გინდა მამიდას, ჩემი ოჯახის წევრებს რა, სხვები იმდენად ნაკლებად, ჩემი ოჯახის წევრებს ძალიან არ მინდოდა, რომ გაეგოთ იმიტომ, რომ რაღაც მეგონა, რომ რაღაცას მიზამენ სასწაულს, ანუ რას მიზამდნენ, მცემდნენ? არასოდეს არ ვუცემივარ არავის, არც ერთხელ პროსტა რა, მართლა ხელის დაკარება არ მახსოვს საერთოდ და რა უნდა ექნათ რა... მარა რაღაც ისეთი შიში მქონდა, რო არ ვიცი რას მიზამდნენ, მარა რაღაცა ცუდს მიზამდნენ, რო სახლიდან არ გამიშვებდნენ შეიძლება, რაღაცა, ან ისეთი შიში მქონდა ამოუხსნელი, კონკრეტულად მომკლავენ, მცემენ არა, არ ვიცი, მარა მეშინოდა ზოგადად რა, პროსტა გახმოვანების, იცი როგორი შიში იყო, რა ვიცი ეხლა ვბოდილოვ ამაში მარა, რაღაცნაირად აი, შიგნით რო გეშინია, შენ იცი რო ეს ცუდია და პროსტა არავინ არ უნდა გაიგოს მეტი არაფერი, ამას შედეგად რა მოყვება ეგ არა. უბრალოდ მეშინოდა, რო ეს არავინ არ გაიგოს ვსიო, იმიტომ, რომ სირცხვილია. ვსიო მეტი სხვა შიში მე ალბათ არ მქონდა, ეხლა ვხვდები რა...”²⁸ როგორც ვხედავთ, შიშის საფუძვლად მატერიალურ დამოკიდებულებას მშობლებზე საერთოდ არ ახსენებს, ეს შეიძლება იმიტომ, რომ საერთოდ არც ფიქრობდა მაშინ მატერიალურ მდგომარეობაზე, ვერც წარმოედგინა, რომ შესაძლოა ფული ჰქონოდა და დამოუკიდებელი ყოფილიყო. ეს ის პერიოდია, როდესაც მას არა აქვს ჩამოყალიბებული ჰომოსექსუალური იდენტობა და საერთოდ ნაკლებად არის გათვითცნობიერებული სექსუალობასთან დაკავშირებულ საკითხებში. ეს არის დაახლოებით მეშვიდე-მერვე კლასის პერიოდი.*

თუმცა მოგვიანებით, როდესაც იგი იძულებული შეიქმნა მამიდასთან ელაპარაკა საკუთარი სექსუალური ორიენტაციის და პარტნიორის შესახებ, რომლის გამჟღავნებისაც მას ასევე ძალიან ეშინოდა, იგი ამბობს შემდეგს: *„ერთი ვიფიქრე რო, მოდი რაც არის არის წავალ ვა ბანკზე და ვეტყვი ყველაფერს რა და ვეტყვი, რო აი მე ესე ვარ და მორჩა დამანებე თავი,*

²⁸ რესპონდენტის ცხოვრების ისტორიიდან და ჩანაწერებიდან გამოყენებული ციტატებში დაცული იქნება ორიგინალური სტილი

მაგრამ ამდენი ძალა ვერ გავბედე, ეგ რო მეთქვა იმიტომ, რომ უბრალოდ არ ვიცოდი მერე რა შედეგი, რა შედეგს მივიღებდი, შედეგი ის იქნებოდა, რომ მე ის აუცილებლად გამავდებდა სახლიდან. აბსოლუტურად დარწმუნებული ვიყავი, მეტყოდა, რომ სადაც გინდა იქ წადი, ანუ მეტყოდა ამას, დარწმუნებული ვარ რა.” მას კი ეს არანაირად არ აწყობდა იმიტომ, რომ თბილისში არ ქონდა საცხოვრებელი სახლი და ვერანაირად ვეღარ გააგრძელებდა სწავლას, აღმოჩნდებოდა ქუჩაში. ამ დროს ის უკვე არის 18 წლის, გარკვეული ჰომოსექსუალური პრაქტიკის მქონე და რაც მთავარია გაკეთებული აქვს გამომჟღავნება რამდენიმე მეგობართან. ამ ფენომენს, რომ მან მამიდასთან ვერ გაბედა სიმართლის თქმა, ხსნის იმით, რომ იგი არ იყო ფინანსურად დამოუკიდებელი: „...ის პერიოდი რა რო, არ ვარ რა ისეთი დიდი და რაც მთავარია მატერიალურად არ ვარ რა დამოუკიდებელი და არანაირად არ შემოდის რა მამიდაჩემისაგან რომ წავიდე რა, სიტუაზე ხო, ვერსად ვერ წავალ, ვარიანტი არ არის, იმიტომ, რომ, კი მოსწავლეები მყავს, მარა შენ რომ 50 დოლარს აკეთებ თვეში ეგ არ ყოფნის რა, აშკარად ცოტაა და თან რომ სწავლა და რაღაცა...” ამრიგად, რესპონდენტი უკვე თავის გამჟღავნების შიშს უმატებს გარემოებას, რომელიც კავშირშია მის მატერიალურ მდგომარეობასთან. მისი მონაყოლიდან შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ თუ მას ექნებოდა საკუთარი შემოსავალი, რომლითაც შეძლებდა ცალკე გასვლასა და თავის შენახვას, მაშინ ის სიმართლეს ეტყოდა მამიდას და შეწყვეტდა მასთან ურთიერთობას თუ მამიდა ამას ვერ გაიგებდა და ვერ შეეგუებოდა. მონაყოლიდან ვგებულობთ, რომ მას ასეც ერჩინა, ვინაიდან ის სახლი და მამიდა მას საშინლად სტრესავდა. ანუ ის იყო ორმაგი წნეხის ქვეშ, ერთი – დამოკიდებული იყო სხვაზე მატერიალურად და მეორე – ამ სხვებთან მას უწევდა თავისი რეალური სახის დამალვა, რაც უდიდეს სტრესთან იყო დაკავშირებული.

აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ სიყმაწვილეში, მაშინ როდესაც მას არ ქონდა ჯერ კიდევ ჩამოყალიბებული ჰომოსექსუალური ქცევა და ორიენტაცია, რესპონდენტი არ ფიქრობდა მატერიალური დამოუკიდებლობის ფენომენზე, ხოლო მას მერე, რაც იგი იწყებს ჰომოსექსუალური იდენტობის ჩამოყალიბებას, იჩენს პარტნიორს და დგება იატაკქვეშეთიდან გამოსვლის მომენტის წინაშე, იგი უკვე იწყებს ფიქრს მატერიალურ დამოუკიდებლობაზე. ამავე მოსაზრებას ადასტურებს მისი ცხოვრების შემდეგი განვითარება: მას მერე, რაც რესპონდენტი დაშორდა პირველ პარტნიორს და გამოსცადა იძულებით იატაკქვეშეთიდან გამოსვლის მოვლენა მამიდასთან, რომლის დახმარებითაც სხვა მამიდემა და მამიდაშვილებმაც გაიგეს მისი სექსუალური ორიენტაციის შესახებ, რესპონდენტი შეეცადა შემდეგი თავისი ურთიერთობები სასტიკად გაესაიდუმლოებინა იმიტომ, რომ, როგორც მანამდე თხრობისას ვგებულობთ, მამიდის ეჭვების უმრავლესობა მან თავისი დაუფიქრებელი და გულუბრყვილო საქციელით გამოიწვია. ამრიგად, იგი იწყებს საიდუმლო ცხოვრებას და გარდა იმისა, რომ მაღავს თავის ახალ ურთიერთობებს, ასევე: „ამასობაში, მე უკვე, კიდევ მეორე მომენტი შემოვიდა რა. მე დავიწყე ფულის შოვნა რა, ანუ ფულის შოვნა როგორ, რომ იმდენი ფულის შოვნა, რომ მშობლები მე ფულს საერთოდ აღარ მიგზავნიდნენ საერთოდ ვაფშე რა, ამასობაში უკვე მამაჩემს გაუჭირდა ძან რა, პრინციპში, კი შეეძლო მარა ერჩინა ერთი ტვირთი რომ მოშორებოდა რა დამატებითი და ამასობაში, მოკლედ მთელი ამბებია და მოკლედ მე დავიწყე ფულის შოვნა და ამან ძალიან შეცვალა ჩემი იმიჯი რა, ზოგადად რა, ამათ თვალში იმიტომ, რომ ანუ ეს გახდა შესაქები, რომ მე ვმუშაობ და წელზე ფეხს ვიდგავ, მართლა წელებზე ფეხს ვიდგავდი, ხუთი მოსწავლე მყავს წარმოიდგინე, ხუთ მოსწავლესთან დავრბოდი კვირაში ორ ორჯერ რა, 10 გაკვეთილი მქონდა კვირაში და ნუ უკვე ხუთი მოსწავლე ნიშნავს, რაღაცას რა, რამდენ დოლარს, აღარ მახსოვს ზუსტად, მარა საკმაოდ ბევრ ფულს რა, ისე, რომ მამიდასაც ვაძლევდი რაღაცას ხო, ეს უკვე, ძან ამოაყირავა სიტუაცია, თუმცა ეხლა, თუმცა დამოკიდებულება მაინც არ

შეცვლილა რა, უბრალოდ ის, რო ვთქვით შენ ვერ გამოადექი და რაღაცა ხო ეგეთი ტექსტები აღარ იყო, შენ ვერ გამოადექი მამაშენს რა, მე უკვე გამოავადექი, ეხლა რა ვქნა რა, ჯერ პატარა ვარ და უკვე ნახე, მოსწავლეები, ჩემმა არჩევანმა პროფესიულმა, ხო მან მიწუნებდნენ, რო ეს გოგოებისაო და რაღაცა ხო გაამართლა, მიხვდნენ რო მაგრა გაამართლა“. როგორც მონაყოლიდან ვხვდებით, მის მიმართ მაშინ შეიცვალა დამოკიდებულება, როდესაც მან ფულის შოვნა დაიწყო, ანუ შედარებით ღმობიერი გახდა ის გარემო, რომელიც ყველაზე მეტად აკონტროლებდა და ბოჭავდა მის სექსუალურ ორიენტაციას. აქედან გამომდინარე, ლოგიკურია დავასკვნათ, რომ გარემოს დამოკიდებულების შერბილება გამოიწვევდა მისი გამომჟღავნების გაადვილებას და რადგანაც ვითარების შეცვლა რესპონდენტის დასაქმებამ და ფულადმა შემოსავალმა გამოიწვია, შესაბამისად ვფიქრობ, რომ ამ კონრეტული ადამიანის იატაკვეშეთიდან გამოსვლა კავშირშია მატერიალურ დამოუკიდებლობასთან. თუმცა ეს მოსაზრება შეიძლება იქვე ნათქვამმა წინადადებამ გაგვიბათილოს, რომ დამოკიდებულება კი შეიცვალა დადებითობისაკენ, მაგრამ ეს მხოლოდ მშობლებისადმი გამოდგომის მხრივ. ნელნელა ესეც შეიცვალა. როგორც რესპონდენტის მონაყოლიდან ვგებულობთ, საერთოდ ყველანაირი ლაპარაკი მისი ორიენტაციის შესახებ: „შეწყდა იმ წუთასვე როგორც კი მე დავიწყე მუშაობა მაღალანაზღაურებად სამსახურში, ისე, რომ მე გამიჩნდა ხელფასი 500 დოლარი და რაღაცა და ისე, რო მე ჩემი ხელფასის ნახევარს ვუფხავნი დედაჩემს რა. ანუ მომენტალურად შეწყდა რა ეს ლაპარაკები, ნუ მსგავსი, ეხლა უკვე შეცვლილია რითი იცი? დაუშვად ეხლა რო ჩავდივარ რა, იმით რო აი, ნუ კიდე რო შენს იმედზე არიან და რაღაცა და ეხლა მთავარია, რო მე კიდე და კიდე მეტი ვიშოვო მოკლედ ეგეთი რაღაცაა და მოკლედ, ის უკვე მე რას ვაკეთებ ხო, ის აღარ აინტერესებთ, ყოველშემთხვევაში ამაში არ ერევან, ამას არ ახსენებენ. ორი მამიდა ცოცხალია ისევ...“. ამ მონაყოლის მიხედვით, უკვე შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვათ, რომ ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც რესპონდენტს გაუადვილდა გამომჟღავნება და იმ ხალხთან ცხოვრება, რომლებიც თრგუნავდნენ მის ორიენტაციას, იყო მისი მატერიალური დამოუკიდებლობა. ახლაც, როდესაც მას აქვს მაღალი შემოსავალი და ცხოვრობს მარტო, უფრო ნაკლებად აღელვებს ის, თუ როგორ განვითარდება მისი ცხოვრება, თუ ვინმე გაიგებს მისი სექსუალურ ორიენტაციის შესახებ. რესპონდენტის მონაყოლიდან გამიჩნდა შეხედულება, რომ მის ცხოვრებაში ზრდასთან და ჰომოსექსუალური იდენტობის ჩამოყალიბებასთან ერთად უფრო მეტი დატვირთვა შეიძინა მატერიალურმა დამოუკიდებლობამ და მარტო ცხოვრებამ. ანუ რაც უფრო ჰომოსექსუალური იდენტობის ხდება ადამიანი, მით უფრო ესაჭიროება მას დამოუკიდებლობა, რომელიც მას უხსნის შიშს საზოგადოებაში გამომჟღავნებისადმი. თუმცა ეს არის მხოლოდ ამ რესპონდენტის გამოცდილება.

რესპონდენტის ცხოვრებაში არის გამომჟღავნების რაღაც მომენტი, რომელსაც ვერანაირი მატერიალური დამოუკიდებლობა ვერ უკავშირდება. ეს არის გამომჟღავნება მშობლებთან. მართალია, დღეს ჩემი რესპონდენტი აღარ არის დამოკიდებული მშობლებზე და არც იმის ეშინია, რომ მას სახლიდან გააგდებენ, ვინაიდან იგი აღარ ცხოვრობს მშობლებთან, ის მაინც ვერ ახერხებს თავისი ორიენტაციის შესახებ რაიმეს თქმას მათთვის და ამას შემდეგნაირად ხსნის: „აბსოლიტურად მეგონა რო მამაჩემმა ეს რო გაიგოს ხო, მოკვდება ანუ მართლა მოკვდება, ფიზიკურად მოკვდება რა. ვთქვით დედაჩემი გაგოჯდება, ისტერიკა დაემართება, იწიოკებს მარა არ მოკვდება ანუ შეეგუება რა ადრე თუ გვიან, მარა მამაჩემი მოკვდება! ესე მეგონა რა აბსოლიტურად რა და ეს იმდენად დაუშვებლად წარმომედგინა რო ეს იყო ყველაზე მთავარი მიზეზი რის გამოც ყველაფერს იმას ვშვრებოდი“. ანუ მატერიალურ დამოუკიდებლობაზე უფრო მაღლა დგას რაღაც მიზეზი, რომლის გამოც რესპონდენტი ვერ ახერხებს საკუთარ მშობლებთან გამომჟღავნებას. ამის დასტურია ოჯახში მისი

დამოუკიდებლობა. როდესაც მისი ცოლის მოყვანაზე მიდგება საქმე, მას ამის თქმას ვერ უბედავენ, სწორედ იმიტომ, რომ ის ძალიან დამოუკიდებელი ბიჭია და კიდევ იმიტომ, რომ იგი აქეთ ეხმარება მშობლებს მატერიალურად. ეს კი მთლიანად სხვანაირ ურთიერთობას აყალიბებს მათ შორის, რასაც თავად რესპონდენტიც ამბობს: „ჯერ ეს ერთი მე ისეთი ტიპი ვარ რო, სახლში ნებისმიერი სკითხვის დასმა ჩემს ცხოვრებას რაც შეეხება, მაგათ უფლება არა აქვთ, აბა გაბედონ რა ანუ არაფერში არ ეკითხებათ აბა დაწყნარდით, მე გიგზავნით ფულს, დამშვიდდით“.

საბოლოოდ, ჩემს ვარაუდს, რომ ფინანსური დამოუკიდებლობა კავშირშია რესპონდენტის გამომჟღავნების ფენომენთან, ამყარებს მისი მონაცემი ცხოვრების ისტორიის დასრულებისას: *“მას მერე რაც დამოუკიდებელი გავხდი ფუნანსურად და რაღაცა რაღაცნაირად ყველაფერი შეიცვალა რა ანუ ვაფშე შეიცვალა ცხოვრება ეხლა რო ვუკვირდები ძან დიდი განსხვავებაა უფრო თავდაჯერებული გავხდი და რაღაცა და ნუ ყოველშემთხვევაში ეს საკითხი და უკვე კაი ხანია აღარ მაწუხებს. (რის მერე არ აწუხებს) საერთოდ რა ანუ ვინ იცის, ვინ არ იცის ვერ ვიტყვი, რომ პრობლემა მოისპო და აღარ არი და ვსიო ეხლა არიქა უღრუბლო ცა და ვაფშე ცხოვრება ადვილი გახდა ეგრე არა არი მაგრამ ყოველ შემთხვევაში მე თვითონ არანაირად არ მაწუხებს იმიტომ რომ პირობები მაქვს იმისი რო არ მაწუხებდეს ანუ არა ვარ არავისზე დამკიდებელი, ვცხოვრობ მარტო და რასაც მინდა იმას ვაკეთებ ვთქვით აი ღამე რო ვკვდებოდე მარტო რო ვარ თუ არავის არ დავურეკე მოკვდები..”* საბოლოოდ, შესაძლოა დავასკვნათ, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში მატერიალური დამოუკიდებლობა ბევრ რამეს ცვლის ჰომოსექსუალი ადამიანის ცხოვრებაში, მაგრამ არანაირად არ არის პირდაპირ დაკავშირებული მის გამომჟღავნებასთან. მატერიალურმა დამოუკიდებლობამ შესაძლოა მოგიხსნას ბევრი პრობლემა, მოგიშალოს მრავალი შიში და შესაბამისად გახდე უფრო ღიაც სექსუალურ ორიენტაციასთან დაკავშირებით, მაგრამ ეს არ ვრცელდება ყველასთან გამომჟღავნებაზე. არსებობს სხვა ფაქტორებიც, რომლებიც აფერხებს ამ ჰომოსექსუალი ადამიანის გამომჟღავნებას. საინტერესო იქნება თუ შემდეგი კვლევა გამოიკვლევს ფენომენს, რომელიც კავშირშია ქართველი ჰომოსექსუალების ოჯახში გამომჟავნებასთან, განსაკუთრებით, როდესაც საქმე ეხება დედასთან და მამასთან გამომჟავნებას. იმიტომ, რომ რესპონდენტის მაგალითზე ეს ყველაზე მტკივნეული საკითხია, ხოლო იგივე კარლა ჯეის და ალენ იანგის მიერ ჩატარებული კვლევისას, რამდენიმე რესპონდენტმა თქვა, რომ მათ არ უთქვავთ თავიანთი მშობლებისათვის საკუთარი ორიენტაციის შესახებ, მაგრამ მათ ეს საიდანდაც გაიგეს და ეს მიღებული აქვთ ჩვეულებრივ. მათთვის მთავარია, რომ ეს ადამიანები იყვნენ ბედნიერები, ჯანმრთელები და წარმატებულები.²⁹ მთლიანობაში აღნიშნული კვლევისას რესპონდენტების უმრავლესობა მაინც უფრო მეტად უფროთხის დამსაქმებელს, მამას და დედას,³⁰ მაგრამ ზემოთ თქმული რამოდენიმე შემთხვევა მაინც განსხვავებულია, ეს ალბათ იმიტომ, რომ ეს გამოკვლევა წარმოადგენს ამერიკის და კანადის მაგალითს, სადაც ალბათ უფრო მეტად ღია და მიმღები საზოგადოებაა და უფრო ნაკლებად არის ჰომოფობია გავრცელებული, ვიდრე საქართველოში, სადაც ჩემი რესპონდენტი გაიზარდა.

მეორე კვლევითი კითხვა ეხება იძულებით იატაკქვეშეთიდან გამოსვლას. კითხვაზე *“კავშირშია თუ არა ჰომოსექსუალის იძულებით ”იატაკქვეშეთიდან გამოსვლა”*³¹ მისი ოჯახის წევრების გარემოცვაში ცხოვრებასთან? რესპონდენტის მონაცემიდან ვგებულობთ, რამოდენიმე შემთხვევას, როდესაც სხვა ადამიანებთან ერთად ცხოვრებამ მას შეუქმნა

²⁹ Jei K. and Young A. 1979. *The gay Raport*. Summit Books, New York . გვ. 148

³⁰ იქვე. გვ.42.

³¹ ოჯახის წევრებთან გამომჟავნება

პრობლემები და ერთხელაც, საერთოდ იგი აიძულეს ელიარებინა თავისი ორიენტაცია საკუთარი სურვილის საწინააღმდეგოდ. ქვემოთ ოდნავ უფრო ვრცლად განვიხილავ ამ შემთხვევებს.

სკოლის დამთავრების შემდეგ რესპონდენტი გორიდან საცხოვრებლად გადავიდა თბილისში, სადაც ჩააბარა ინსტიტუტში და დაიწყო სწავლა. ვინაიდან თბილისში მას სახლი არ ქონდა, ცხოვრება მოუწია მამიდასთან, რომელიც, თავის მხრივ, ქმართან ერთად ცხოვრობდა. მამიდასთან ურთიერთობას განსაკუთრებულს ხდიდა გადამეტებული ყურადღების მომენტი. მამიდა დიდ ყურადღებას აქცევდა რესპონდენტს, რადგან თვლიდა, რომ საკუთარმა ძმამ მას პირადად ჩააბარა იგი და ფიქრობდა, რომ მისი ცხოვრების სწორად განვითარებაზე, „კარგ გზაზე“ დაყენებაზე მას უნდა ეზრუნა. თუ რესპონდენტი რაიმენაირად გზას ასცდებოდა, ეს გარკვეულწილად მამიდის ბრალიც იქნებოდა, რადგან მან სათანადო ყურადღება ვერ მიაქცია და თავს დაიდანაშაულებდა. ეს აძლიერებდა მამიდის ყურადღებას.

ერთად ცხოვრების პირველი წელი მათ ძალიან მშვიდად გაატარეს. რესპონდენტი მხოლოდ სწავლობდა, არ ქონდა არანაირი ურთიერთობები და შესაბამისად ცხოვრობდა მშვიდი ცხოვრებით. ერთი წლის გასვლის შემდეგ, პირველი კურსის ბოლოს, მან ინტერნეტის დახმარებით, სრულიად შემთხვევით გაიცნო თავისზე უფროსი ადამიანი, რომელიც ძალიან ძალზე შეუყვარდა. ამ ურთიერთობამ ბევრი რამ შეცვალა მის ცხოვრებაში: მისი დღის რეჟიმი, ცხოვრების წესი, სახლში ყოფნა-არყოფნის და სწავლის ნაყოფიერების უწინდელი მდგომარეობაც. როგორც თავად რესპონდენტი ყვება: „ეს ურთიერთობა გაგრძელდა რამდენიმე თვე და ეხლა რა ხდებოდა. მე დავიწყე, დამეწყო პრობლემები ამ ურთიერთობასთან ერთად. ტიპი გიჟდებოდა ჩემზე, შეშლილი იყო და ყოველდღე, რომ არ ვენახე გააფრენდა. მოკლედ ერთადერთი თავისუფალი დღე ქონდა კვირა, დანარჩენი სულ მუშაობდა რა, სულ და არ ეცალა რა მთელი დღეები და ნუ ეხლა ღამე მე ვერ გავიდოდი დანარჩენ დღეებში და ამიტომ კვირაობით მივდიოდი მაგასთან დილით და საღამომდე დაბნელებამდე ვიყავი, მთელი დღე ვიყავით ერთად მაგასთან სახლში. >...< დანარჩენი დღეები ხო კვირის გარდა, ყოველ საღამოს, თითქმის ყოველ საღამოს, ყოველ მეორე დღეს მაინც გავდიოდი რა საღამოს ექვს საათზე და ზამთარია უკვე დეკემბერი, იანვარი, რაღაცა და ბნელა უკვე. გავდივარ უცებ სახლიდან, სახლში ვაცხადებ, რო მივდივარ სადღაცა და სადღაც ერთ ორ საათში ვბრუნდები, იმიტომ, რო სადმე კაფეში შევხვდებით როცა იმას შესვენება აქვს რა. ორი საათი შუალედი და მოკლედ ესე გაგრძელდა რამდენიმე თვე და ნუ აი სად მიდიხარ და თან ეს ის პერიოდია როცა ჯერ კიდევ შუქების ამბავი არ არის მოგვარებული, მოკლედ შუქები ქრება და სიბნელეში სადღაც უცებ გავვარდები 6 საათზე სახლიდან, ღამეა უკვე ან ღამდება და ძაან იმას შერებოდა, რო სად მიდიხარ, ვის ხვდები, სად დადიხარ და რაღაცა, იმიტომ, რომ ძაან უკვირდა ეს მამიდაჩემს. >...< მე ვხვდები, რო მამიდაჩემს ეს ადარდებს და უკვე მეც დავიწყე ამაზე ფიქრი იმიტომ, რო ვხვდები რო რაღაცას ვუმალავ არ ვეუბნები...”

ამ ურთიერთობამ, როგორც რესპონდენტის მონაყოლიდან ვგებულობთ, გამოიწვია მისი დღის რეჟიმის შეცვლა. ადრე თუ მთელი დღე სახლში იჯდა და მეცადინეობდა, ახლა უკვე ხშირად შეუფერებელ დროს გადიოდა, რომ თავის შეყვარებულს შეხვედროდა. ეს კი აეჭვებდა მამიდას. მამიდა, რა თქმა უნდა, შეკითხვებს უსვამდა რესპონდენტს, აინტერესებდა რა ხდებოდა:

„ნუ მოკლედ ეგრე რა, ანუ სულ ეს კითხვები სად დადიხარ სად, მე ვიყავი სულ სტრესში, შეიძლება ითქვას რო, კი, თან, მეშინია ძაან, კი, თან ვხვდებოდი რო თავიდანვე მაგრად მივჯარე, რო ამდენად ჩავახედე ამ ურთიერთობაში. <...> და თან ეხლა იმიტომ უკვირდა ძაან, რო მანამდე პირველ კუსრზე ვიჯექი აბსოლიტურად სახლში, არავითარი მეგობარი,

თუ ვთქვით ვინმე დამირეკავდა დავალებაზე ისიც აი ისეთი რა, სუფთა სწავლასთან დაკავშირებული რა და მეტი არაფერი, ანუ ისეთი ზედმეტი ლაპარაკები არ იყო და უცებ ერთბაშად რო, აი, ეხლა შეიცვალა ეს ადამიანი, რაღაცა საეჭვო იყო რა იმისთვის და მოკლედ ეხლა როგორც ვხვდები თავიდანვე ყველაფერს ხვდებოდა რა მამიდაჩემი, მაგრამ მაშინ მაგდენს ვერ ვაზრობდი....”

პრობლემას წარმოადგენდა ტელეფონის მომენტი. სახლში ერთი ტელეფონის ხაზია და ყოველთვის ისე არ არის, რომ იმან აიღოს ყურმილი ვისაც ურეკავენ. ასე რომ, მამიდის კიდევ უფრო დასაეჭვებლად ისიც მოქმედებდა, რომ მას უკვირდა ამდენს რას ლაპარაკობდა დიტო ტელეფონზე. როგორც თავად რესპონდენტი ყვება: “საქმე ის იყო რომ მე ვერ დაურეკავდი იქით (შეყვარებულს), იმას უნდა დაერეკა აქეთ ჩემთან, იმიტომ, რომ სამსახურში საერთო ტელეფონზე და სახელი ხო უნდა მეხსენებინა ამას სთხოვეთ, ან მეორე ვარიანტი იყო, გავდიოდი სახლთან ცოტა მოშორებით იყო ავტომატი რა, ტელეფონი და იქიდან წარმოიდგინე როგორ მოუხერხებელ რაღაცასთან არი დაკავშირებული, ზამთარში თან წარმოიდგინე საშინელი სიცივე როცაა და მერე სეთი რაღაცა მოვიფიქრეთ რა დამალვის პონტში რო ის იქიდან არეკინებდა ხოლმე ვინმე გოგოს თავის თანამშრომელს რა ვინმეს, ხოდა დიტოს სთხოვეთ გოგო იკითხავდა რაღაცა და მე მივიდოდი ტელეფონთან ის ეგრევე გამოსტაცებდა ყურმილს, ანუ მამიდაჩემი თუ აიღებდა, გოგოს, იმას შვრებოდა რა დათოს სთხოვეთ და ეგეთი რაღაცა და რამდენჯერმე დავიწვი მაგაზე რა, დავიწვი როგორ, ანუ როგორ იყო იცი? ნუ ტელეფონიდან ისმოდა ხმა აშკარად, კაცი გელაპარაკებოდა თუ ქალი, კაროჩე ყველა პირობა იყო იმისი, რომ რისაც მე გულუბრყვილოდ მჯეროდა რო ვმალავდი ის ხვდებოდა რა რეალურად, მან მან მაგრად ხვდებოდა რა, მარა ამას კაი ხნის განმავლობაში ჩუმად გულში ატარებდა თავისთვის რა, არავის არ ეუბნებოდა, ეს მერე გავარკვიე ყველაფერი”

კიდევ იყო ერთი გარემოება: რესპონდენტი არ იყო თბილისიდან და ამიტომ აუცილებლად უნდა წასულიყო არდადაგებზე მშობლიურ ქალაქში. აქ დარჩენა და შეხვედრების გაგრძელება კიდევ უფრო დააეჭვებდა მამიდას და უფრო დამაბავდა სიტუაციას. ამიტომ მოუწია გორში წასვლა არდადაგებზე. იქაც, ოჯახში შეიქმნა იგივე პრობლემები ოჯახის წევრებთან დაკავშირებით, რადგან მას თითქმის ყოველდღე ურეკავდა და ელაპარაკებოდა შეყვარებული: „მე ვიყავი იმაზე რა, იმიტომ რომ ვიღაცა მირეკავს, გორში მან უცნაური იყო რა, რომ ვიღაცა მე მირეკავს, თან იქ საქალაქთაშორისო ზარს ეტყობოდა რა, რომ სხვა ქალაქიდან რეკავენ და ამისთვის ისა ვქენი, ხოდა ფოთში, ხოდა ტელეფონს რაც შეეხება, ამ დროს მე უმცროსი და მყავს რა, ოთხი წლით უმცროსი, რომელიც ეხლა მე თუ თვრამეტის ვიყავი ის თოთხმეტის იყო და ამ დასთან ვიყავი ძალიან ახლოს ყოველთვის რა. <.....> მოკლედ აქ მჭირდებოდა კრიშა რა იმიტომ, რომ ერთი ორჯერ მოხდა ისე, რომ ტელეფონი აიღო ჩემმა ძმამ დათო, რომ რეკავდა და დიტოს სთხოვეთ, ეს იქიდან იმას შვრება, რაღაცა თბილისური კილოთი, რომელსაც გორში მან ადვილად გამოარჩევ იმიტომ, რომ ყველა სხვანაირად ლაპარაკობდა. ნუ ეხლა ვიღაცა რომ უცებ რეკავს გასაგებია რომ თბილისიდან რეკავენ. ერთი ორჯერ ვთქვი რომ ჩემი ჯგუფელია ირაკლი. მყავდა ეგეთი ჯგუფელი რა როგორც გითხარი, თავიდან ვითომ ჯგუფელი მირეკავს ეგეთი რაღაცა მარა, ნუ მერე ეხლა მან უცნაურია წარმოიდგინე როგორია ჯგუფელი გირეკავს ყოველდღე თბილისიდან, რაღაცა უცნაურია მან და ვლაპარაკობთ სისულელეზე რაც მთავარია. იქაც ხო მაინც და მაინც, კი სახლი დიდია მარა გადის გამოდის ხალხი ვერ დამალავ რა ამ თემებს რაზე ლაპარაკობ და შეფარვით უნდა ილაპარაკო და იჩურჩულო ხო. ხოდა ამიტომ დავუმახე ჩემ დას და ვუთხარი რომ ტელეფონი აიღე მხოლოდ შენ ან მე მეთქი რა, რომ ორიდან ერთ-ერთი ვიჯდეთ აუცილებლად ტელეფონზე თქო რა და ეგრეც იყო მთელი ერთი თვის

განმავლობაში ხო ანუ დაახლოებით ხო ვიცოდი საღამოს რა საათებში დარეკვდა ხო. ან მე ვიჯექი ტელეფონთან ან ხატია მოკლედ ეგ რო გვექონდა რა.” ოჯახის საფრთხის სიტუაცია აბსოლუტურად განმეორდა, მხოლოდ ის იყო განსხვავება, რომ იქ დის დახმარებით მან მოახერხა თავის დაძვრენა.

თბილისში ჩამოსვლის შემდეგ კვლავ განახლდა პრობლემები მამიდასთან, განსაკუთრებით მამინ, როდესაც დიტო დაშორდა შეყვარებულს და დაეწყო, როგორც თავად აღწერს ამას, საშინელი დეპრესია: „დავშორდით რა ჩვენ ერთმანეთს და რო დავშორდით დამეწყო ძან სერიოზული პრობლემები მე იმიტომ, რომ, მე შეიძლება ითქვას გავაფრინე, აბსოლიტურად, აი ნუ თავს აღარ ვგავდი ჭამა შევწყვიტე, სიგარეტის მოწევა უკვე დაწყებული მაქვს და ვეწევი ბევრს. მანამდე არ ვეწეოდი საერთოდ. მთელი რამდენიმე თვე აპრილიდან მოყოლებული სადღაც ივნისის ჩათვლით ეგრე ვიყავი რა, გაგიჟებული ვერ ვხვდებოდი, გაურკვევლობაში ვიყავი ძან და დეპრესიაში და ვიჯექი და დღიურებს ვწერდი და რაღაცებს და რაღაც სისულელეებს, ვწერდი რა ბევრს ძან და ამ დღიურებში ვწერდი ძან ღიად რაღაცები, ხოდა მაგ დღიურებმა დამღუპა კაკრაზ.” ბოლო ფრაზა გადამწყვეტია დიტოს და მამიდას ურთიერთობაში.

მის მიერ დაწერილი დღიურები და ლექსები თავის შეყვარებულზე, რომლებშიც ღიად იყო გადმოცემული მისი გრძნობები, მან დროებით ყოფილ შეყვარებულს წაუღო იმ იმედით, რომ ის კიდევ დაუბრუნდებოდა, მაგრამ ცოტა ხანში ისევ უკან გამოართვა, რომ კიდევ ერთხელ წაეკითხა და წამოიღო სახლში. აქედან ძალიან მნიშვნელოვანია წავიკითხოთ თავად რესპონენტის მიერ დანახულ რეალობა, თუ როგორ აღწერს იგი მისი იძულებითი გამომჟღავნების სცენას, რომელიც სწორედ იმან განაპირობა, რომ მან ვერ მოახერხა თავის ქცევის, გუნება-განწყობისა და ნივთების დამალვა: „ეს მეტყობოდა ფიზიკურად რა იმიტომ, რომ ვიყავი ძან გაგიჟებული და რაღაცა, ისე უხასიათოდ და რაღაცა. რა გჭირს შენ, რა გჭირს შენ, რა გჭირს შენ? ქონდა მამიდაჩემს სულ, რაღაცა გჭირს და არ მეუბნები, შენ რაღაცას მიმაღავ, სულ ქონდა ეს და არა, არა რას გიმაღავ და რას ვეტყვოდი ხო და მერე ერთხელაც, რა ჯანდაბამ მომაფიქრა, რა მინოდა, კაი ხანი იყო გასული რაც ეს დღიურები დავუბრუნე, ვთხოვე ყოფილ შეყვარებულს რო ცოტა ხნით მათხოვე მეთქი რაც მოგეცი ყველაფერი, ერთ დიდ პაკაში იყო შეკრული რა, რვეულებიც და ისინიც, ფურცლებზე დაწერილი ლექსები, თაბახის ფუცლებზე და კაიო და მომცა და მოვიტანე მე ეს სახლში და დავჯექი და დავიწყე ამ ყველაფრის კითხვა რა, რაც მართლა ბევრი იყო რა, ათას გვერდზე ბევრი იყო ნაღდად რა. ესე შემოვიწყე ლოგინზე და ვკითხულობ, მამიდაჩემი ხო ამას უყურებს, მე იმდენად გადაკეტილი მქონდა ყველაფერი, რო იმას, რო ეს ეხლა ნახავს და რაღაცა, იმდენად მეათეხარისხოვნად მიმაჩნდა რო რას კითხულობ გაუჩნდება შეკითხვა, ეგ ვაფშე ვერ ვხვდებოდი რა, ვერ ვზომავდი იმდენად გაგიჟებული ვიყავი, მართლა ძან გიჟი ვიყავი და მოკლედ ნუ აი საღამოობით ვკითხულობ ამ რაღაცებს და ვითომ იმას ვშვრები რა, ვითომ ვმეცადინეობ, მარა ხო მეტყობა, რომ ღვარღვართ მომდის ცრემლები და მამიდაჩემი არ მეუბნება არაფერს. ეხლა რო ვუკვირდები, მე მაგის ადგილას რო ვყოფილიყავი გავგიჯდებოდი ალბათ რა, ხო ანუ სასწაული მჭირდა რა, ფსიქოზი მჭირდა რასაც ქვია და არ, არ მეუბნებოდა არაფერს და ერთხელაც, ნუ რამდენიმე დღე მქონდა ეს დღიურები სახლში რა და ერთხელაც სახლში ვარ, მოვედი ინსტიტუტიდან და ესეთი შუა დღის ძილი მშველოდა რა შუა დღეს ვიძინებდი, ინსტიტუტიდან მოვიდოდი შევჭამდი ვიძინებდი, საღამოს სადღაც 5-6 საათზე გავიღვიძებდი და ვიწყებდი მეცადინეობას და ღამემდე ვმეცადინეობდი 12მდე მერე ვიძინებდი ისევ, აესეთი სტილი მქონდა რა თავიდან, მერე ყველაფერი აირია და მერე ისევ აღვაგინე ეგა რა, არავინ არ მყავდა და ვის შევხვდებოდი. ხოდა ერთხელ საღამოს სახლში ვარ, ეს დღეებია რო წამოღებული მაქვს

მისგან(ყოფილი პარტნიორისგან) ყველაფერი, მძინავს რა და გვერდით ოთახშია ტელეფონი და კარები არ არის შუაში და მესმის, რომ მამიდაჩემი ელაპარაკება თავის შვილს, თავის ქალიშვილს, ჩემს მამიდაშვილს, რომელიც უფროსია ჩემზე ბევრად და გათხოვილია რა, ხოდა ნუ აი ძან ახლოს იყვნენ რა ეს დედაშვილი ერთმანეთთან, ძან ახლოს, ანუ ისე რა, იყვნენ უფრო სწორად მამიდა აღარ არის და ისა და ჩურჩულით ელაპარაკება რაღაცას რა, რო მე არ გავიგო აშკარად რა ჩურჩულით, არ მომერიდებოდა რა ეხლა, არ იყვირებდა მარა არ მომერიდებოდა, ჩურჩულით ელაპარაკება რო რაღაცეები წავიკითხე, რაღაცეები წავიკითხე, ჩურჩულით უთხრა ჩანაწერები, რაღაცეები. და ნუ აი მანდ რა დამემართა იგი კინალამ მოვკვდი, მივხვდი რასაც გულისხმობდა რა ჩემს ჩანაწერებზე იყო ლაპარაკი. ნუ მივხვდი რასაც გულისხმობდა, გავგიჟდი, ავბტი, დავბტი, გადავირიე, ჩემთვის შიგნით, გარეთ რას შევიტყობ ხო არ ვეტყვი რატო წავიკითხე მეთქი, რა ვიცი რო წავიკითხა რეალურად, მოვისმინე რო ეუბნებდა ტელეფონში და ნუ ა გამალებით მიცემს გული, აუ ნუ აი იგი რა სტრესი გადავიტანე? კინალამ მოვკვდი პროსტა რა, რო აი ეხლა რა მეშველება, ეხლა რა უნდა ვქნა, მეთქი რა თავის გაგიჟება მაქვს და თან პლიუს შორენას რო ამას ეუბნება რა და ნუ აი ძან გავბრაზდი მაშინ რა და რა ვქენი იგი რო? ის რვეულები, სადაც მედო რა, ისევ ისე ეწყო, ჩაწყობილი იყო ისევ, ანუ გამოიტანა, წავიკითხა დააბრუნა უკან, სანამ მე ინსტიტუტში ვიყავი რა, ხო ვერ მოვიაზრებდი რო მთელი ამხელა რაღაცა ჩანთით მეთრია რა, ხოდა, რას წარმოვიდგენდი რო წავიკითხავდა რა, გულუბრყვილოდ არ დავუშვი რო წავიკითხავდა.” ეს კარგად სცემს პასუხს ჩემს მიერ დასმულ კვლევით კითხვას, რომ ვერანაირად შეაკავებ ადამიანის ცნობისმოყვარეობას და ის ოდესღაც აუცილებლად ეცდება გააკონტროლოს სხვა, ვინც მის ოჯახში ცხოვრობს. ეს რაღაც თავისებური ვალდებულების გრძნობით იხსნება, სხვაზე ზრუნვის მომენტით. სინამდვილეში დიტოს ოჯახის წევრების გარემოცვაში ცხოვრებამ გამოიწვია ჯერ ის, რომ მისი პირადი ნივთები იქნა გადაქექილი და წავიკითხული მისი ნების გარეშე და შემდეგ ამას მოყვა იძულებითი გამომჟღავნებაც, რომელსაც ქვემოთ განვიხილავ. საინტერესოა ასევე როგორ გრძელდებოდა დიტოსთვის ეს სტრესული ცხოვრება, სანამ არ აიძულებდა მამიდა მასთან ესაუბრა ორიენტაციის შესახებ: „მერე გავიდა დრო და დილაობით, გორელი მამიდა რა, მოკლედ ჩამოდის რა, ხშირად ჩამოდიოდა რა მოსამართლე იყო და ხშირად რაღაც საქმეები ქონდა და ჩამოდიოდა, დილით ადრე ჩამოდის ძან მატარებელი და ის რო მოდიოდა მე მეძინა ჯერ კიდევ რა დილით ადრე ჩამოსული მატარებელი ამასთან, მოდიოდა რა და იქ იჯდნენ სამზარეულოში, ლაპარაკობდნენ, იქით ოთახში მე მძინავს რა და მესმის, დილით ვიღვიძე ნუ აი, ტულაეტში წასვლის სურვილი მალვიძებს და მესმის, რომ ჩამოსულია მეორე მამიდა და ლაპარაკობენ ისინი რა და ჩუმად, ხმადაბლა ლაპარაკობენ და მესმის ყველაფერი, კინალამ ჩავიფსი იქ, ტულაეტში, მაგრამ იქიდან როგორ ავდგებოდი, რო არ მომესმინა რას ეუბნება, კინალამ მოვკვდი ე.ი. ერთი, ეს აქაური ეუბნება გორელს რო აი ისა დათოს საყვარელი ყავს კაცი, ეგეთ ტექსტს აი ზუსტად გავიგე ეს და ის ეუბნება, ვაიმე დაო, ვამიე აბა რა ვქნათ ეხლა და როგორ უნდა მოვიქცეთ ჩვენ რა ვქნათ, რა შეგვიძლია ჩვენ რო გავაკეთოთ და იქით ძან ჩუმად ლაპარაკობდნენ და ის ეუბნება რო და მერე პასუხია, ასე იცის ზედმეტმა განათლებამ, ზემეტმა ნაკითხობამ და იმან და იმან და მაიმუნობამ და რაღაც მოკლედ ესეთი ტექსტები ისმის, ნუ ეხლა როგორ გინდა, არადა ჩავიფსი აღარ შემიძლია იმ ოთახში, გარშოკი მაინც მქონდეს, თან ისე რო ვითომ ეხლა ჯერ გაღვიძება უნდა დაიწყო ისე უნდა გაიარო ის სამზარეულო რო ტულაეტში შეხვიდე, ისე არ გამოვა. უნდა შევხვდე მათ, მერჩივნა მოვმკვდარიყავი პროსტა იქვე რა, ნუ ავდექი როგორც ქნა და გამოვედი და აა ვითომ არაფერი არ შევიძინე მარა მივხვდი რო მოშნად დარჩეული მაქვს რა, როგორ უნდა ვიმუშავო იმაზე, რო მამაჩემმა და დედაჩემმა ეს ამბები არ გაიგონ, წარმოდგენა არ მაქ რა იმიტომ რო ერთმა მამიდამ იცის, მეორემ იცის, მამიდაშვილმა იცის,

ზნაჩიტ ამ წრემ იცის რა უკვე. მამიდებმა იციან და რაღაცა და, მოკლედ მან დავითრგუნე მაგრად რა იმიტომ, რო აი ეგ იყო, ყველაზე ცუდად რაც გამახსენდება ცხოვრებაში იყო ეგ პერიოდი რა, ყველაზე საშინლად მართლა რა აი მან, ისე რო, უუფ!”

ეს სტრესული მდგომარეობა გაგრძელდა რამდენიმე თვე და საბოლოოდ მამიდამ გადაწყვიტა იძულებით გამოეტეხა დიტო, რათა მას ელიარებინა თავისი სექსუალური ორიენტაცია: „ერთხელაც დამისვა საღამოს და მითხრა რო არ დაიძინო, პირდაპირ, მე შენ უნდა დაგელაპარაკო! მკაცრად, მკაცრი ქალი იყო მან. მე შენ უნდა დაგელაპარაკო მნიშვნელოვან საკითხზე, ნუ კაი დამელაპარაკე მეთქი, მე ისე გულუბრყვილოდ ეუბნები, ხო ვიცი რაზე უნდა დამელაპარაკოს, ხო ვხვდები, მარა ეხლა რაზე უნდა დამელაპარაკო მეთქი, მოვიშტერე თავი, მამიდა რაზეა ლაპარაკი, საღამოს მოკლედ ამ მამიდამ გაუშვა თავისი ქმარი ზემოთ ოთახში, კიდე ერთი ოთახი ქონდათ ზემოთ მეორე სართულზე შენ იქ დაიძინეო და დამისვა და მეუბნება აი ესე პირისპირ რა როგორც მე და შენ ვზივართ დამისვა დაიღო მუხლებზე ხელები, შენ შენს თავს არ გავხარ, შენ რაღაცა გჭირს, შენ გაგაყდი, შენ, მითხარი რაშია საქმე, მე ეხლა გავალდებულებ, რო შენ მითხრა რაშია საქმე, მეუბნება რა, რა გჭირს შენ? იქნება დახმარება გჭირდება, იქნება ვინმე რამეს გაძალებს მეუბნება რა, იქნება შენ რაღაცა შეცდი, იქნება შენ რაიმე შეცდომა დაუშვი, იქნება, მოკლედ ესეთი ტექსტი აქვს რა, შენ ეხლა უბრალოდ ვალდებულები ხარ მითხრა, მე იმხელა ამაგ მაქვს შენზე გაწეული, მე მამაშენმა შენი თავი ჩამაბარა და შენ უნდა მითხრა! ე.ი. რა ლოგინზე ვიყავი გადაწოლილი ზურგით რა ცხოვრებაში თუ ოდესმე ყველაზე ცუდად ვყოფილვარ ეგ იყო რა, რა დამემართა ე.ი. ეგეთი ნერვიული კანკალი რო აი მინდოდა რო ფეხი გამეჩერებინა, რო იმას არ დაენახა, მარა ვერ ვაჩერებდი, იცი რა მჭირდა? კინალამ მოვკ, აი გული ცუდად გამიხდაო, რო იტყვიან მაშინ დამემართა, მართლა ვიგრძენი რო გული აი ეხლა გასკდება რა მან ვინერვიულე აი, ჩამექცა სისხლი კინალამ და თან ეხლა ვფიქრობ, რო არ ვიცი რა ვუთხრა, რა ვუთხრა რა ველაპარაკო, რა მოვუყვე, რა ვუთხრა რო არა რა სისულელეა ქალო საიდან მოიტანე, რაღაც ეგრე ხო არ ვეტყვი რა, ხოდა თან ვფიქრობ ეხლა ვარიანტებზე ეხლა რა მოვყვე რა, დროს ვწელავ, რაზე ლაპარაკობ მამიდა? ვეუბნები, ამ დროს ხმა ამომივიდა პირიდან როგორი იცი? რო აი ის ჩემი ხმა არ არის, შიშისგან რა, რო აი ვსიო დამერხა დაიღუპა ყველაფერი...”

შემდეგ მან მამიდასთან მოკრძალებით აღიარა, რომ მას ეს კაცი მოსწონს, თუმცა ჯერ სექსუალური ურთიერთობა არ ქონია და მოიგინა ათასნაირი ტყუილი, რომ როგორმე თავი დაეძვრინა ამ საშინელი, სტრესული მდგომარეობიდან. როგორც ვხედავთ მისი თვალისა და დანახული ეს მოვლენები ძალიან მძიმეა. ვფიქრობ, რადგანაც ჩვენს ქვეყანაში ჰომოფობიური განწყობა დიდია, რასაც ფონდი ინკლუზივის მიერ ჩატარებული მედიის ანალოზიც ამტკიცებს, იმისათვის, რომ ამ ჰომოფობიის საშინელი დარტყმა არ მიიღოს ჰომოსექსუალმა, მას უწევს თავისი ორიენტაციის დამალვა, ხოლო თუ ის ცხოვრობს ვინმესთან ერთად, ამ კონკრეტული მაგალითის საფუძველზე ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მისი იძულებით იატაკქვეშეთიდან გამოსვლა გარდაუვალია.

გარდა ზემოთ ნახსენები ისტორიისა, რესპონდენტს მსგავსი პრობლემები შეექმნა, როდესაც გორში დაბრუნდა და იქ ცხოვრობდა ოთხი თვის განმავლობაში. ვნახოთ, მისი თვალისა და დანახული რეალობა: „მაშინ უკვე კომპიუტერი ვიყიდე და წავედი და დავჯექი იქ და დავიწყე იქ მუშაობა, ნუ იქ რა თქმა უნდა არავისთან არ მქონდა ურთიერთობა, მარა მქონდა კომპიუტერი და ნუ შეზღუდულად მარა მაინც ინტერნეტი ისევ რა, და ლამდამობით შევდიოდი ისევ ამ პროგრამებში რაღაცეებში და ველაპარაკებოდი ხალხს და ვილაგებე გავიცანი და ვილაგა შემიყვარდა და ჭკუაზე, ისე დაუსწრებლად და ერთხელ მოხდა ისეთი ფაქტი რო, ნუ ეხლა იმისთვის რა, ცოტა გართობისთვის ფოტოებსაც იმას

ვშვრებოდი, იმ კომპიუტერზე ვმუშაობდი მარტო მე რა, სხვა არავინ რა, სხვამ არც იცოდა. ჩემი ძმა დიდი დიდი იმას ნახავდა ტოტალიზატორის შედეგებს რა ანუ ისიც ჩემი დახმარებით, იმიტომ რომ აზრზე არ იყო როგორ უნდა ექნა და ერთხელაც, ნუ აი რაღაც ფოტოებს ვქაჩავდი, დაბალი სიჩქარე იყო იქ და ვიდეოზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო ჩამოქაჩვაზე და ამ ფოტოებს ვქაჩავდი ხოლმე მოკლედ დასანძრევად რა იდეაში და თან ვყრიდი ამ ფოტოებს სასწრაფოდ რა თქმა უნდა, მაინც ეხლა ვინმემ არ ნახოს მეთქი და ერთხელაც აღმოჩნდა შემთხვევით, რო ნუ რაღაცა ფოტო არ გადამიგდია რა და კაცის და მახსოვს ჩემი ძმა იჯდა და მახსოვს დაიწყო ქექვა რა და თან მეც იქვე ვარ და ყვირილს ხო არ დავიწყებ და ადექი ეხლა გადი და არ მოკიდო ეხლა ჩემს კომპიუტერს ხელი და რაღაცეებს ხო არ დავიწყებ და უცებ შემთხვევით მოხდა ისე რო ნახა ეს ფოტო რა, ანუ გაიშალა ესე ათვალეიერებდა ფოტოებს და რიგში გაიშალა, სწრაფად მიდიოდა ეს ფოტო და ეს რა იყოო კაცო დაიბნა უცებ, ვერ მიხვდა და ნუ მე გავწითლდი, გავშავდი და უცებ მოვიგონე, ვისარგებლე იმით, რო ვაფშე აზრზე არ იყო კომპიუტერში რა ხდება რა და აეს მეთქი ატრიტკა გამომიგზავნა ჩემმა მეგობარმა გოგომ, მითხრა რო გამაშაყირა მეთქი, რო ვითომ ატრიტკა გამომიგზავნა მეთქი, ჩათლახს და წავიდა მოკლედ გინება, რაღაცა და ნუ ჩემი ძმა, რაღაცნაირად შემომხედა რა, მარა რა, ჭამა რა ვითომ ჭამა, ანუ კაი ხო...”

ამ მომენტის გარდა კიდევ მოხდა შემთხვევა როდესაც ძმამ სცადა მისი კომპიუტერის გაქექვა და შემოწმება: „ამას გარდა ამ კომპიუტერში მე მქონდა რაღაცა ტექსტები კიდე რა. ჩემი მოთხრობები და ისა, რაზეც ვითხარი ადრე, ისეთი ცნობილი ტექსტი რო მქონდა და ისიც მანდ მქონდა და მოკლედ გავიდა დრო, კაი ხანი ვიყავი გორში, ერთი ოთხი თვე მანდ ვიყავი რა და ვმუშაობდი. გავიდა ერთი პერიოდი და მესმის, სადაღაცა, არ მახსოვს ძან ზუსტად არ მახსოვს, როგორ იყო მაგრამ მივხვდი რო თურმე ჩემი ძმა დამჯდარა კაი ხნის მერე და უნახავს კარგად ეს ჩემი კომპიუტერი, ნუ მე ეხლა რა თქმა უნდა ყველა კვალი გავაქრე იმ კომპიუტერიდან როგორც კი ის გავიდა, იმის მერე არც გამიხსნია და არც ჩამომიქაჩავს არანაირი ფოტოები და ისაო, მახსოვს რა ზემოთ ოთახში, ჩემ ოთახში ვიწევი, მეძინა, თუ ახალი გაღვიძებული ვიყავი და მესმოდა ჩემი ძმა როგორ ეუბნება დედაჩემს, ქვედა სართულზე, ნუ თხელი ის არის რა, ისმის ქვემოთ რას ლაპარაკობენ თუ ხმამაღლა ლაპარაკობენ, რო ესო რეებს წერსო, რაღაცეებზე რა ჩემზე ეუბნება რო, რას წერსო რა არის ესო და ნუ მაშინ დამცრა, ამდენი არ მიფიქრია რა, რო შეიძლებოდა ტექსტური ფაილებიც გაეხსნა და წაეკითხა, რატომღაც ეგ ვერ მოვტვინე რა, ხო მარა მერე არ მაგრძნობინეს ამაში არაფერი, ანუ აბსოლიტურად არაფერი, ანუ მე არ ვიცი რა წაიკითხა, რა არ წაიკითხა მოკლედ რაღაცეები, ნუ იქ ბევრი ტექსტი იყო, რომელს მიახტა აზრზე არ ვარ რა.” რესპონდენტის ცხოვრებიდან ეს მონაკვეთიც ამყარებს ჩემს მოსაზრებას, რომ სხვა ადამიანებთან ცხოვრება ძალიან ზრდის იმის ალბათობას, რომ ეს ადამიანები რაიმეს მიხვდნენ და მერე ამა მოყვეს სხვა პრობლემები. თუმცა გორში ყოფნის პერიოდში იგი გადაურჩა იგივე დაბოლოებას, იძულებით გამომჟღავნებას, რაც მას მამიდასთან გადახდა.

გარდა იმისა, რომ ოჯახში ცხოვრება კავშირშია რესპონდენტის გამომავლარავებასთან, მას მსგავსი შემთხვევა ქონდა სამსახურშიც. როდესაც მან იატაკქვეშეთიდან გამოსვლა გააკეთა თავის უფროსთან, ამ უკანასკნელისგან მოისმინა მეტად უჩვეულო პასუხი. ამ ყველაფერს რესპონდენტი ასე ყვება: „მერე კაი ხნის შემდეგ გამომიტყდა (უფროსი) რო მე ეგ ისედაც ვიცოდით რა, მანამდეო, საიდან იცოდით მეთქი და ესეთი რაღაცა მითხრა რო ისეო, მოკლედ იმ ოთახში სადაც უფროსი იჯდა იყო ორი კომპიუტერი, ორი სამუშაო ადგილი. ვიღაცა ამერიკელი ქალი ეჯდა რა, რომელიც სხვა პროგრამაში მუშაობდა და იქ იყო. ის ქალი ერთ თვეში მიდიოდა თავის, მე ვიყავი ნახევარ შტატში და მოკლედ ესე მოვილაპარაკეთ, იმ ქალის კომპიუტერი იყო ჩემიც რა, ის ქალი რო წავიდოდა ვთქვათ

სამზე ან ოთხზე მე მოვდიოდი მერე და ვთქვით ღამემდე ვმუშაობდი მე და ესე იყო მოკლედ მე და იმ ქალს გვქონდა საერთო კომპიუტერი და იმ ქალს უთქვამს რო მოკლედ პირველი ორი დღის მერე... რა მინდოდა რატო ხელები არ გამიხმა! მაშინ ხო არ ვიცნობდი ამდენად ამ ტექნოლოგიებს და რო შენ იციო, რო შენ ესე დიდად რო აქებ და გიყვარს ეს ბიჭიო და სამსახურში რო აგყავს შენს ასისტენტადო, შენ იციო, რო ეს გეი საიტებზე დაძვრებაო? ამ დროს ეხლა იქ სამსახური იყო და მთლად ეგეთი დებილიც არა ვარ ანუ იქ ეხლა პორნო საიტებზე კი არ შევდიოდი, შევდიოდი გეი რუზე სადაც ინფორმაცია ეწერა გეიებზე, ნუ ძაან ბევრი რაღაცა ვიცი ამ საიტიდან რა, ანუ იქ იყო სამედიცინო განყოფილება ლიტერატურა, ისა, ესა და მოკლედ ბევრი ტექსტი იყო და სიახლეები, რა ხდება ვთქვით სამყაროში ამ ნიშნით, სად რა კანონი მიიღეს და რაღაცეები. ამეებს სულ ვკითხულობდი რა და აქედან შევდიოდი სხვა ინტერნეტი არ მქონდა და ესე ამ ქალს უთქვამს ეს ამრეხით, რო შენ იციო, რომ იმაზე შედისო ესაო, ძაან გავბრაზდი მაშინ იმ ქალზე, ანუ საშინლად შემრცხვა. თან აბსოლუტურად დარწმუნებული ვიყავი, რო პახაზზე არაფერზე არ შევსულვარ ნამდვილად ვიცოდი, მარა მაინც ძაან გამიტყდა რა, რო აი რო ჩემდა უნებლიედ იმ ქალმა იცოდა, რომ მე გეი ვიყავი. ეს ძაან გამიტყდა საშინლად და ჩემს ზურგს უკან იმან ვითომ ჩამიშვა რა გაიგე? <.....> ძაან ხინჯად ჩამრჩა. როგორ გავბრაზდი იცი, ცოტა წამომასხა, გავწითლდი და რაღაცა შემზარა რა იმ ფაქტმა, რო აი ჩემს უკან თურმე რეები ხდებოდა რა და მე გულუბრყვილოდ მეგონა, რომ არავინ არაფერი არ იცის.” მართალია ეს არ იყო არც ოჯახი და არც კლასიკური იძულებითი გამომჟღავნება მოყოლია ამას, მაგრამ ვფიქრობ, რომ ესეც თავისებური იძულებითი იატაკჰეფითიდან გამოსვლის მომენტიცაა, როდესაც შენი ნების საწინააღმდეგოდ სხვას ეუბნებიან, რომ შენ ხარ გეი. ამიტომ ვფიქრობ, რომ სამსახურის ეს შემთხვევაც თავისუფლად შეიძლება ჩაითვალოს მსგავსად იმისა რაც მოხდა ვთქვით მამიდასთან, იმიტომ, რომ ორივე შემთხვევაში ეს იყო იძულებითი და არა ნებაყოფლობითი გამომჟღავნება.

საბოლოოდ, კვლევითი კითხვებისათვის პასუხის გაცემის შედეგად, ვფიქრობ, საინტერესო მასალა მივიღე. პირველი, რაც მთავარია, შევამოწმე ჩემი ვარაუდები: პირველი ვარაუდი, რომ მატერიალური დამოუკიდებლობა კავშირშია ჰომოსექსუალის (რესპონდენტის) გამჟღავნების ხარისხთან და რაც უფრო დამოუკიდებელია მატერიალურად ჰომოსექსუალი, მით უფრო ნაკლებ მალავს თავის რეალურ ორიენტაციას, ნაწილობრივ გამართლდა, თუმცა, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნე, არის კონკრეტული ადამიანები, კერძოდ მშობლები, ვისთანაც გამომჟღავნება და დამოკიდებულება არ იცვლება მატერიალური მდგომარეობაზე დაყრდნობით. ეს ალბათ სხვა გავლენების შედეგია, თუნდაც ოჯახის წევრების დაკარგვის შიშის.

რაც შეეხება მეორე ვარაუდს, რომ ჰომოსექსუალის ცხოვრება ოჯახის წევრებთან ერთად კავშირშია მის იძულებით იატაკჰეფითიდან გამოსვლასთან ოჯახის რომელიმე წევრთან, რესპონდენტის ცხოვრების ერთმა ეპიზოდმა, კერძოდ კი მამიდასთან გამომჟღავნებამ, ეს სრულიად დაადასტურა. ასევე საინტერესო იყო რესპონდენტის სხვა გამოცდილება ოჯახის სხვა წევრების ცნობისმოყვარეობასთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე ვფიქრობ, რომ იძულებით იატაკჰეფითიდან გამოსვლის ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორი სწორედ სხვებთან ერთად ცხოვრებაა, ვისაც უმაღლავს სექსუალურ ორიენტაციას. საინტერესოა ისიც, თუ ვინმე გამოიკვლევს საქართველოს მაგალითზე იძულებითი იატაკჰეფითიდან გამოსვლის ფაქტებს, ვინაიდან ამ ერთი შემთხვევის გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ ეს არის ყველაზე საშინელი მომენტი ჰომოსექსუალი ადამიანის ცხოვრებაში. კარგი იქნება, თუ ეს კვლევა ჩატარდება. ამ შემთხვევაში ჩვენ გავიგებთ გამომწვევი მიზეზების, განსხვავებული იძულებების შესახებ და ცოდნის საფუძველზე უკეთ იქნება შესაძლებელი ისეთი ღონისძიებების გატარება, რაც ხელს შეუშლის ასეთი ფაქტების არსებობას.

და ბოლოს, ჩემი კვლევის მიზანია ჰომოსექსუალური იდენტობის ჩამოყალიბების რომელიმე მოდელთან ჩემი რესპონდენტის მიერ განვლილი ცხოვრების და ჩამოყალიბების ეტაპების შედარება. ჩემთვის ცნობილია ჰომოსექსუალური იდენტობის ჩამოყალიბების სამი ყველაზე გავრცელებული მოდელი. ესენია რიჩარდ ტროიდენის, ელი კოლემანის და ვივიენ კასის ჰომოსექსუალური იდენტობის ჩამოყალიბების მოდელები. აქედან, შესადარებლად ვიყენებ კასის მოდელს. ჩნდება კითხვა, რა პრონციპით ავირჩიე კასის მოდელი? დასახელებული მოდელებიდან კასის მოდელი არის ყველაზე უფრო ამომწურავი და რაც ყველაზე მთავარია იგი არის ყველაზე გავრცელებული მოდელი. ეს მოდელი არ არის უნივერსალური, სწორედ ეს არის საინტერესო. შედარების მერე გამოჩნდება გაიმეორა თუ არა რესპონდენტმა ის ეტაპები, რასაც კასი გამოყოფს. საინტერესოა თუ გამოტოვა რომელიმე, ან თუ არის მის განვითარებაში ისეთი საფეხური, ან მომენტი, რომელსაც კასი არ აღნიშნავს თავის მოდელში.

ქვემოთ განვიხილავ კასის მიერ გამოყოფილ თითოეულ საფეხურს და შემდეგ შევადგენ სქემას, რომლის დახმარებითაც მოვახდენ რესპონდენტისა და კასის მოდელის საფეხურების შედარებას.

დისკუსია და თეორიული მოდელის შექმნა

კასი სულ გამოყოფს ჰომოსექსუალური იდენტობის ჩამოყალიბების ექვსს საფეხურს:

1. იდენტობის გაურკვევლობა/არეულობა.

ამ ეტაპზე ადამიანს უჩნდება შეკითხვა: „შეიძლება ვიყო გეი? პიროვნება იწყებს ფიქრს არის თუ არა ჰომოსექსუალობა პიროვნულად შესაბამისი. უარყოფა და არეულობა თან სდევს ამ ეტაპს. ინდივიდი აცნობიერებს საკუთარ ფიქრებს და ქცევას, ხშირად არ ეთანხმება/არ იღებს ახალ აღმოჩენებს. მთავარი ამოცანა ამ ეტაპზე არის გარკვევა იმის თუ ვინ ვარ მე?

ამ ეტაპზე ჰომოსექსუალი ცდილობს თავიდან აირიდოს ინფორმაცია გეიების და ლესბოსელების შესახებ; ახასიათებს შეფერხებული/შეკავებული/დაფარული მოქმედება; უარყოფს ჰომოსექსუალიზმს.

მამაკაცები: ინარჩუნებენ ემოციონალურ ჩართულობას, მაგრამ თავს არიდებენ სქესობრივ კონტაქტებს; ქალები: შესაძლოა ქონდეთ ძლიერი, ღრმა ურთიერთობა, რომელიც არასქესობრივია მაგრამ ძალიან ემოციური.

2. იდენტობის შედარება:

ამ ეტაპზე ჰომოსექსუალი აკეთებს დაშვებას: “შესაძლოა ეს მე მეხება,, უშვებს შესაძლებლობას, რომ ის შეიძლება აღმოჩნდეს ჰომოსექსუალი. ამ დროს ადამიანის გაუცხოება იწყება რაც იწვევს მის სოციალურ იზოლაციას.

მთავარი ამოცანა არის თავი გაართვას სოციალურ ალიენაციას/გაუცხოებას. ამ ეტაპზე ადამიანი ცდილობს დაანაწევროს საკუთარი სექსუალობა. ეთანხმება ადამიანის ჰომოსექსუალურ ქცევას, მაგრამ ცდილობს შეინარჩუნოს “ჰეტეროსექსუალური,, იდენტობა/იმიჯი. ამ ეტაპზე ხდება თავის მოტყუებისმაგვარი აღქმა. ამ დროს ადამიანი ამბობს, რომ “ეს მხოლოდ დროებითია”, მე მხოლოდ მიყვარს ესა თუ ის ქალი/მამაკაცი. ანუ მთავარი ხაზი სექსს ესმევა. მთავარია არ გქონდეს სექსი შენი სქესის ადამიანთან, სიყვარული ნებადართულია, არ განსაზღვრავს ორიენტაციას.

3. იდენტობის მიმართ ტოლერანტობა:

ამ ეტაპზე ჰომოსექსუალს ეწყება შემდეგი ფიქრები: „მე არა ვარ ერთადერთი.“ ეთანხმება ალბათობას, რომ არის ჰომოსექსუალი და აცნობიერებს სქესობრივ, სოციალურ, ემოციონალურ საჭიროებებს, რომლებიც ეხება ჰომოსექსუალებს. იზრდება დაშვება, რომ ის არის ლესბოსელი ან გეი.

მთავარი ამოცანა არის შეამციროს სოციალური გაუცხოება სხვა ჰომოსექსუალების მოძებნით გზით. ამავე დროს იწყებს ფიქრს და მსჯელობას ჰომოსექსუალობის საკითხებზე. ხვდება, რომ გაცნობერება იმის, რომ ვიღაც არის ჰომოსექსუალი არ ნიშნავს ავტომატურად იმას, რომ ის ადამიანი კარგავს სხვა სახის თავისუფლებას. ყურადღებას აქცევს ჰომო და ჰეტერო სექსუალებს შორის განსხვავებებს. ეძებს ლესბოსურ და გეი კულტურას (პოზიტიური კონტაქტი ხელს უწყობს საკუთარი თავის უკეთესად აღქმაში, ხოლო ნეგატიური კონტაქტი ხელს უშლის ზრდას, ღირებულებებს უკარგავს კულტურას) შესაძლოა გამოსცადოს, შეამოწმოს მრავალფეროვანი სტერეოტიპული როლები.

4. იდენტობის მიღება:

ამ ეტაპზე იგი იწყებს ფიქრს რომ: „მე ვიქნები კარგად“. ამ ეტაპზე ჰომოსექსუალი ადამიანი უკვე ეთანხმება და არა მხოლოდ ტოლერანტულია თავისი იდენტობის მიმართ. გრძელდება და იზრდება კონტაქტი ჰომო კულტურასთან.

მთავარი ამოცანა არის თავი გაართვას შინაგან დაძაბულობას, რომ ის აღარ ეკუთვნის სოციალურ ნორმებს, ცდილობს შეათანხმოს შინაგანი/კერძო და საჯარო შეხედულებები საკუთარ პიროვნებაზე. იღებს ჰომოსექსუალურ იდენტიფიკაციას. ანაწევრებს გეი ცხოვრებას. ინარჩუნებს უფრო ნაკლებ კონტაქტს ჰეტეროსექსუალურ სამყაროსთან. ცდილობს მოერგოს და არ შექმნას პრობლემები ჰომოსექსუალურ სამყაროში. იწყებენ საკუთარი ორიენტაციის შერჩევით გამომჟღავნებას. მეტია იატაკქვეშითიდან გამოსვლის ფაქტები. ამ ეტაპზე ჰომოსექსუალის იწყებს გარემო მდგომარეობების უფრო რეალისტურ შეფასებას.

5. იდენტობით სიამაყე:

ამ ეტაპზე მას უჩნდება შემდეგი სახის სურვილი: „მსურს გაიგოს ხალხმა ვინ ვარ მე!“ იძირება ჰომოსექსუალურ კულტურაში. უფრო და უფრო ნაკლები ჩართულობა აქვს ჰეტეროსექსუალურ საზოგადოებასთან.

მთავარი ამოცანაა თავი გაართვას ჰეტეროსექსუალების შეუსაბამო შეხედულებებს მასზე. ამ დროს ადამიანი ყოფს სამყაროს გეი (კარგ) და ჰეტერო (ცუდ) ნაწილებად და ხვდება გამომჟღავნების სიძნელეს ჰეტეროსექსუალებთან, როდესაც არ სურს ქორწინებაში შესვლა, საპირისპირო სქესის ადამიანთან. გეი კულტურას მიიჩნევს ხსნის ერთადერთ გზად. მეგობრობს მხოლოდ ჰომოსექსუალ ადამიანებთან, მხოლოდ მათთან იჭერს საქმეს და სოციალურ კავშირებს.

6. იდენტობის სინთეზი:

ამ ეტაპზე ჰომოსექსუალი ავითარებს საკუთარი პიროვნების ჰოლისტიკურ ხედვას. საკუთარ პიროვნებას განსაზღვრავს უფრო სრული სახით და არა მხოლოდ სექსუალურ ორიენტაციაზე დაყრდნობით.

მთავარი ამოცანა არის იდენტობის საბოლოო ინტეგრაცია. აგრძელებს ჰეტეროსექსუალების მიმართ უარყოფით დამოკიდებულებას, მაგრამ შემცირებული ინტენსივობით. უკვე უფრო

მეტად ენდობა სხვებს და შედარებით მყარია. ჰომოსექსუალური იდენტობა ერწყმის მისი პიროვნების ყველა ასპექტს. კარგად გრძნობს თავს ლგბტ საზოგადოების გარეთ გასვლისას და უბრალოდ აღარ განსაზღვრავს სივრცეს სექსუალური ორიენტაციიდან გამომდინარე.

ეს არის კასის მიერ შემოთავაზებული მოდელი. ქვემოთ განვიხილავ რესპონდენტის მიერ განვლილ ცხოვრების გზას თუ როგორ ჩამოუყალიბდა მას ჰომოსექსუალური იდენტობა. თუმცა მანამდე ძალიან საინტერესოა ბავშვობის დროინდელი ისტორიები. ამ ისტორიებიდან გამომდინარე კასის მოდელს რესპონდენტის ბავშვობიდან ემატება ერთი საფეხური.

რესპონდენტი ძალიან ადრეული ბავშვობიდან იხსენებს მომენტებს, როდესაც იცვავდა ქალის ტანსაცმელს და დგავდა რაღაც პიესებს. თუმცა აღნიშნავს, რომ ეს უბრალოდ ახსოვს და რაიმე დატვირთვა ამას მისთვის არ ქონდა. გარდა ამისა იგი ღრმა ბავშვობიდან იხსენებს ორ კაცს, რომლებიც მოწონდა. „*ძან პატარობიდან, აი იმ პატარობიდან როცა კაბების და ის მომენტი იყო ხო, იმ პატარობიდან მახსოვს რო მომწონდა ერთი კაცი, უფრო სწორად ორი კაცი: ერთი იყო ბიძაჩემი, რომელიც მოკვდა წელს, მამაჩემის უმცროსი ძმა, რომელიც <...> ჩვენთან ცხოვრობდა რა, სადაც 30-35 წლის და ჩვენ სახლში, მოკლედ ძან იშვიათად იყო ხოლმე სახლში, სიგარეტს როგორ ეწეოდა, სუ სიგარეტს, მაგან მოკლა საწყალი, სულ ესე, რომ ეწეოდა ამ სიგარეტს და მახსოვს ფეტიში მქონდა ამის, კინკრისხოს თუ რაღაც, ამაზე ვუყურებდი, მომწონდა რა ძან, მოკლედ ესე მახსენდება რა ბიძაჩემი სულ მხსოვს <...> მეორე მახსოვს მეზობლის, გვერდით მეზობლის, მეზობელი იყო მანქანის მოხელე, არი ეხლაც ის კაცი. მანქანების სახელოსნო ქონდა, ხოდა იმას ყავდა შეგირდები ყოველთვის ახალგაზრდა ბიჭები რა, ანუ სოფლები იყვენ ძირითადად, ჩამოყავდათ გორში და იმასთან შეგირდად ებარა, ხელობას სწავლობდნენ და ის ერთ-ერთი ტიპი ხელობას, რომ სწავლობდა მახსოვს, აი ძან ცხადად მახსოვს ის ტიპი, სახელიც მახსოვს ბადრი ერქვა და ნუ ამ ტიპთან სიახლოვე მსიამოვნებდა რა, მე ძან პატარა ვიყავი და თავზე ხელის გადასმები და რაღაც ხო იგი, პატარა, რომ დარბის, მომწონდა...”* როგორც რესპონდენტი აღნიშნავს, ამ ყველაფერს არავითარი დატვირთვა არ ქონდა მისთვის და საერთოდ ძალიან ბევრ ქცევას, რომელიც მას გადახდა ბავშვობაში და რომელთა საფუძვლადაც შეიძლება ჩაითვალოს რაიმე განსხვავებულობა, იგი ხსნის აქედან, ანუ უკვე გაზრდილი და ჩამოყალიბებული ჰომოსექსუალი ადამიანის პოზიციიდან. რესპონდენტის ბავშვობაში ძალიან ბევრი მომენტი იყო, რომელიც შეიძლება ავხსნათ ჰომოსექსუალური ორიენტაციით, მაგრამ ეს მცდარი იქნება. მაგალითად, იგი სკოლის დაწყებით კლასებში მეგობრობდა ერთ ბიჭთან, რომელიც მოწონდა, ასე ახსოვს, მაგრამ ამავე დროს ურთავს, რომ რესპონდენტი ამ გადასახედიდან ფიქრობს, რომ მოსწონდა ის ბავში. მაშინ მას წარმოდგენა არ ქონდა რა იყო ჰომოსექსუალობა: „*გიგასთან სკოლაში არაფერი მინიშნების მსგავსიც არასოდეს არ ყოფილა რა, პრინციპში ეხლა, რომ ვითხრა სიმართლე, გიგა, რომ მომწონდა მაგას მე ეხლა ვხვდები, ეხლა ვაანალიზებ და ეხლა ვხვდები, რომ ეგ ეგ იყო კაკრაზ. იმ მომენტში ეს არც მიფიქრია, ანუ ეხლა ამას ვერც ვიფიქრებდი, ჯერ ერთი არც ვიცოდი, საიდან ვიცოდი, რომ კაცმა კაცი შეიძლება შეიყვაროს, ამასთან მიახლოებით, სიტყვა პიდარასტი რას ნიშნავდა არ ვიცოდი რა, ანუ რას ნიშნავდა ეხლა, მაგრამ ყურმოკრული როგორ არ მქონდა როგორც საღანძღავი სიტყვა, მარა აი თვისობრივი შინაარსი რა იყო ამისი ხო, ნუ ვთქვათ, თუ ჩემი ძმისგან ვიცოდი შენი დედა მოვტყან რას ნიშნავს რეალურად ხო, რა პროცესს შეიძლება ნიშნავდეს მაგის მსგავსიც არ ვიცოდი არაფერი, საერთოდ არაფერი რა.”*

გარდა ამისა, რესპონდენტის ცხოვრებაში იყო მრავალი უცნაური მომენტი, რომელიც მას ბიჭების უმრავლესობისაგან განასხვავებდა. არ უყვარდა ფეხბურთის თამაში, არ უყვარდა კი არა ვერც კი წარმოედგინა როგორ უნდა ეთამაშა ბიჭებთან ერთად ფეხბურთი, სამაგიეროდ

თამაშობდა გოგოებთან, რომლებთანაც კომფორტულად გრძნობდა თავს. როგორც იგი აღნიშნავს, „სურვილი არ მქონდა, აი არასოდეს, ანუ არც ერთხელ არ მომდომებია, რომ მეთამაშა ფეხბურთი. ნუ ვთქვით, სამაგიეროდ იმათთან ვთამაშობდი ყველაფერს, ამ გოგოებთან ერთად რა, ნუ იყო სამი გოგო დაახლოებით თუ არ ვცდები ჩემი ტოლები და ცოტა უფროსები, მინუს პლიუს იქით აქით ასაკით და ამათთან კი ბატონო მასწავლებლობანა, სახლობანა გინდა, ყველაფერს ვთამაშობდი..”

ბავშობიდან კიდევ მნიშვნელოვანია ერთი სცენა: „გაიხსნა აუზი. დაკეტილი იყო რამდენიმე წელი და მერე გაიხსნა და მთელი სამეზობლო ერთად დავდიოდით აუზზე. მეც, პატარაც წამიყვანეს. მე ვიყავი ყველაზე პატარა იმათ შორის. <...> ყველანი იყვნენ დიდები, აბსოლუტურად ყველა იყო ძაან დიდი რა, ბიჭი იქ ვინც იყო და ნუ მე მქონდა, აი მანდ უკვე მეოთხე მეხუთე კლასში ვიქნებოდი, მე ძაან, დანარჩენები ვირები იყვნენ წარმოიდგინე მერვე, მეცხრე, მეათე, ზოგი მეთერთმეტე და დიდები რა, ზროსლი კაცები იყვნენ ფაქტიურად და აი მანდ მქონდა უკვე ძაან გაცნობიერებული რატო არ მინდოდა გახდა. იმიტომ, რომ, ანუ მაგათთან ერთად შესვლა იმიტომ, რო მეგონა რაღაცა დამემართებოდა ცუდი რა, ანუ ვუყურებდი და ისეთი შეგრძნება მქონდა რო ეხლა ან რაღაცა ამიდგება, ჯერ არ მიდგებოდა ისე ეხლა ყოველ შემთხვევაში, მარა ხო რაღაც დოზით მაინც არის ხოდა, სულ უხერხულობის გრძნობა მქონდა იმიტომ, რომ მე ვხვდებოდი, რომ მე ეს მომწონს რა იმათ, რომ ვუყურებ იქ გახდილებს და ნუ ზოგიერთი განსაკუთრებით ვინც ლამაზი იყო...”

საინტერესოა მისი პირველი სერიოზული სექსუალური თამაშები ბიჭთან, რომელსაც ასევე არავითარ დატვირთვას არ ანიჭებდა რესპონდენტი, არ განიცდიდა და არ ფიქრობდა ამაზე, ამ თამაშების დაწყებიდან რამოდენიმე წლის განმავლობაში. შემდეგ მოვლენები შეიცვალა. რაც ყველაზე მთავარია მას სრულიად გაცნობიერებული ქონდა რასაც აკეთებდა, ამ დროს ის აღარ იყო ისე ძალიან პატარა, თუმცა რაიმე იდენტობის ჩამოყალიბებაზე საუბარი ზედმეტია. „პირველად როგორ მოხდა რაღაცა ვაფშე არ მახსოვს, აი პირველი როგორ იყო ზაზასთან, ანუ ეს შემძლია უკვე ვთქვა, რომ იყო აბსოლუტურად გაცნობიერებული, ვიცოდი რას ვაკეთებდი რა რეალურად. <...> მარა ისიც არ იყო წინააღმდეგი რა თქმა უნდა. მანდ თამაშ თამაშით ეგეთი რაღაცა იყო და იმასაც მოწონდა, აი აქ იყო უკვე ყველაფერი, ტუჩებში კოცნა, რასაც ქვია ზასაობის რაღაცა იმიტირება, რაღაცა და ხელების მოკიდება, დანძრევაც და აი მე მახსოვს პირველად, რომ გავათავე მაგასთან ეხლა გამახსენდა რა, მაგ ბიჭთან იმის დროს რა, ეს არ იყო სექსი იმიტომ, რო კი რაღაცა ვითომ მიდებ, მოდებ იყო, მაგრამ პრინციპში შიგნით როგორ უნდა შესულიყო ეგ არ ვიცოდი. მაგდენი რა და ანდა თუ რანაირად შევიდოდა, რო ეს საოხრე ჩემი უკვე დიდი იყო ძალიან, ანუ რანაირად შეიძლება ვაფშე შეღწევა მაგას ვერ ვხვდებოდი...” ეს მონაკვეთიც აჩვენებს, რომ მას ჰომოსექსუალური თამაშები ძალიან მოსწონდა და იცოდა, რასაც აკეთებდა, მაგრამ ის არ იცოდა, თუ რას ნიშნავს ჰომოსექსუალობა და რა დატვირთვას ატარებს ის საზოგადოებაში.

რესპონდენტს ქონდა სხვა ბიჭთან სექსუალური თამაშის მცდელობა და ამაზე უარს ღებულობს, იმ მიზეზით, რომ ეს არის ცუდი და არ შეიძლება ამის გაკეთება. ამის შემდეგ მას ეწყება შიში და რაც მთავარია ტაბუს ადებს თავის სექსუალურ სურვილებს და ცდილობს დაივიწყოს საერთოდ ეს ყველაფერი. მალევე წყვეტს ზაზასთან სექსუალურ თამაშებს და იწყებს სულ სხვა, ასექსუალ ცხოვრებას: „ზაზასთან რაღაცა პერიოდი მოხდა ისე რო ცოტა გავუცხოვდი ძაან, ცოტა, რომ გავიზარდე, მე მივხვდი რო არ არის მაინცდამაინც კარგი ეს რა რასაც ვაკეთებ და ამიტომ არ შეიძლება რა და უნდა დავანებო თავი.”

შემდეგ იგი უკვე ნელნელა იგებს, თუ რა არის ჰომოსექსუალობა და თავში ეწვეთება ჰომოფობიური დამოკიდებულება ჰომოსექსუალების მიმართ. სრულიად შემთხვევით

მამაკაცებს შორის სიყვარულის არსებობაზე იგი კითხულობს წიგნში: „ხოდა აი ძაან ძალიან მაგრად მახსოვს, კარგად, რო გამოვიტანე პლატონის „ნადიმი“ როგორ მახსოვს იგი, აი დღესავით, ეხლა მაჟრიალებს, რო მახსენდება. გამოვიტანე პლატონის ნადიმი, ვიქნები მერვე კლასის ბოლოა უკვე რა ანუ მერვე კლასის ბოლოს <...> წავიკითხე ნადიმი და ნადიმში პირველად შემხვდა აი შავით თეთრზე დაწერილი რო სიყვარული არსებობს ასეთი, ასეთი, ასეთი ჩამონათვალია ხო, ნუ არსებობს სიყვარული კაცსა და კაცს შორის.... ბატონო? უცებ ის დამემართა რა ნუ აი როგორი გახსნა იყო იგი სამყაროსი რო ე თურმე მოიცა რა, ანუ ის კი არა, რო ვსიო პრობლემა მომეხსნა, წავიკითხე რო, ე მოიცა, უკვე ვიცი რო პლატონი ვინაა და რაღაცა ზოგადად ძაან მაგარია, ქართულად არის ნათარგმნი და ა.შ და თან, ეს ტექსტზე გავგეჟდი ისე მომეწონა. თვითონ რა საკაიფოდ აქვს რა, ძაან კარგად წავიკითხე და აი ძაან, ანდროგინის იდეა რო ორი, ორსქესიანი იყო, კაცი კაცს რო ეძებს და რაღაცა და ნუ პრინციპში მანდვე გაკრთება ეგეთი იდეა რო ესეთი სიყვარული უფრო ძალიან ვიდრე ჩვეულებრივი რა, ხოდა ეს რაღაცა გამისწორდა ძაან იგი რაღაცა, აქიდან მოყოლებული ეს წიგნი რო წავიკითხე, ზუსტად ალბათ მერვე კლასის ბოლოს ხო უკვე მივხვდი რო აი სადღაც სამომავლოდ გადავდე ძაან დიდი ხნით ოღონდ ეგ ამბავი, მარა მივხვდი რო ეგეთი რაღაცა შესაძლებელია ვაფშე რა და ეს არ არის მარტო ჩემი ისა რა მე არ ვარ მარტო მე არ ვარ გამონაკლისი და თურმე აგერ წიგნია დაწერილი მთელი ანუ და სიყვარული სახეზე და ჩამოთვლილია სიყვარულის სხვადასხვა სახეობები და მათ შორის არის ეს, ძაან გამიკვირდა რა ეს პირდაღებული ვიყავი მთელი ნუ აი ძაან მახსოვს მთელი ერთი კვირა დავდიოდი შოკში. როგორ ვიყავი იგი რო ეს რა წავიკითხე, ეს რა წავიკითხე! ძაან შოკში ვიყავი რა.” მართალია რესპონდენტი იგებს, რომ კაცის მიერ სხვა კაცის შეყვარება თურმე შესაძლებელია, მაგრამ იქვე დასძენს, რომ ეს საკითხი სამომავლოდ გადადო. ამ დროს მოსკოვიდან ჩამოდის მისი კლასელი გიგა, რომელიც მას მოსწონდა ბავშვობაში და მთელი კლასი მიდის ამ გიგას მამის პანაშვიდზე და ხედავენ, რომ ეს გიგა ძალიან შეიცვალა მოსკოვში ყოფნის დროს: “მოსკოვში ცხოვრობდა ეხლა გაიგე და წარმოიდგინე მოსკოველი ბიჭი თანამედროვე რაღაც, თმები ესე შეჭრილი რაღაცა და ნუ რაღაცა გაპიდარასტებულა გიგა, გაპიდარასტებულა მოკლედ ისმის რა ჩემი კლასელებისაგან, გარეთ რო გამოვედით და დავდექით ბიჭები, რა დაემართა მაგ ბიჭს და ეგეთი რაღაცეები მიდის და ნუ ჩემ გულში რა ხდება ამ დროს რაღაცა და მივხვდი რო ამასთან ვერ ვიახლობლებ ვერანაირად რა, ვაფშე, სრული ის მქონდა გაუცხოება, ანუ რაღაცნაირად იმ პონტში რო ისინი ხო იმახდნენ რო გაპიდარასტა, გაპიდარასტა და მე დავინახე როგორ ლაპარაკობენ იმაზე გაიგე და ძაან ადვილად წარმოვიდგინე რო ზუსტად ასე ლაპარაკობენ ჩემზე რა, პროსტა მე მიჩვეული ვყავარ ამ სასტავს რა ეხლა ყოველდღე მხედავენ, ყოველდღე რო ხედავ არ ამჩნევ რა მერე ეგეთ რაღაცეებს, ეჩვევი და ძაან ნორმალურად გეჩვენება ის ვილაცა ინაზება და იკლავნება. ეს რო გავიგონე რო ლაპარაკობდნენ იმაზე ხო ძაან ისე დამემართა, თან მინდა რო რაღაცა ვუთხრა ამათ, ხმას ხო ვერ ამოვიღებ რა სისულელეა იმიტო რო ხმას ამოვიღებ და ეს ნიშნავს რო რაღაცა შენც.... <...> აი ძაან მკაცრად დავადე.” ასე, რომ რესპონდენტი მთლიანად ადებს ტაბუს თავის სექსუალურ მისწრაფებებს და რაც ყველაზე საინტერესოა იგი იყვარებს გოგონას, თავის კლასელს: „გოგო, რომ მიყვარდა, ანუ ვცდილობდი მეფიქრა მაგაზე, ანუ ეხლა უკვე დავიწყე, ვსიო მეთქი გადავრჩი, ანუ მართლა ეგეთი ის მქონდა შეგრძნება, ვსიო მეშველა და თია შემიყვარდა და ნუ რა ბედნიერი ვარ რო თუა მიყვარს რა, გამოსავალი ვიპოვე რა, გამოვსწორდი ფაქტიურად, ვხვდებოდი რო ცუდი იყო ის რა, რაც მანამდე ხდებოდა და. ოოოოო თუა მიყვარს, თუა მიყვარს ვიძახი ჭკუაზე არ ვარ და მოკლედ სიყვარული ავუხსენი დაჟე და რაღაცა, ძაან ესე უაზროდ, ესე ლიპად რაღაცა და <...>ხოდა ისა, მარა აი ფანტაზირებას და რაღაცა რო დავიწყებდი ხოლმე აი ერთი წამითაც არ მიფიქრია, ნუ კაი მიყვარს მარა სხვა რამეზე, ან ვთქვათ სიახლოვეზე

ხო საერთოდ, დაჟე არავითარი სურვილი არ მქონია, რომ მეკოცნა დავუშვათ. კი მართლა მიყვარდა, ძან მიყვარდა და ღამეებს ვფიქრობდი და ღამე დავწვებოდი წიგნს გადავშლიდი, დავიწყებდი ამ გოგოზე ფიქრს და თია რა მაგარია, თია რა კარგია, ნუ მიყვარს მარა არაფერი რო გაგაღიზიანოს, ან რაღაცა მოგინდეს მსგავსი არაფერი არ მქონია.” ასე რომ, ის ცდილობს “გამოსწორდეს” მაგრამ კვლავ აოცებს საკუთარი შეგრძნებები, როდესაც მას არა აქვს არანაირი ფიზიკური სიახლოვის შეგრძნება თეას მიმართ.

კიდევ ერთი დამახასიათებელი თვისება მისი ბავშვობისათვის იყო მისი ასოციალურობა. როგორც თავად ყვება: „ვიყავი საშინლად ასოციალური ბავშვი, მე არასოდეს არ გადამიხდია დაბადებისდღე ჩემივე მოთხოვნით, იმიტომ კი არა რო საშუალება არ ქონდათ, ქონდათ მაგის საშუალება, მამაჩემი საკმაოდ შეძლებული იყო მაშინ ჯერ კიდევ რა <.....> პროსტა არ მახსოვს რო ვინმეს დაბადების დღეზე წავსულიყავი. არ დავდიოდი, <...> ხოდა ბანკეტს რაც შეეხება გამოსაშვებს ხო, ბანკეტზე მე არ წავედი.” ეს მაგალითები იმიტომ მოვიყვანე რესპონდენტის ცხოვრებიდან, რომ ისინი ძალიან გავს კასის მიერ გამოყოფილი საფეხურებიდან სხვადასხვა მომენტებს ჰომოსექსუალის ცხოვრებიდან: გაურკვეველობა, ასოციალურობა, სოციალური იზოლაცია და შიში. მაგრამ ეს ყველაფერი მისთვის იყო გაუცნობიერებელი. ჩემი დაკვირვებით და რესპონდენტის ცხოვრების მიხედვით, დიტო ბავშვობაშივე აფიქსირებდა რაღაც განსხვავებულ შეგრძნებებს, მოწონდა საკუთარი სქესის ადამიანები, ერიდებოდა ბიჭებთან მეგობრობას, მაგრამ ამისათვის რა სახელი დაერქმია დიდი ხნის განმავლობაში არ იცოდა, ხოლო გაგების შემდეგ ტაბუ დაადო და ეს საკითხები მომავლისათვის გადადო. ამიტომ მე მის ცხოვრებაში იდენტობის ჩამოყალიბების პირველ საფეხურად გამოყოფდი ბავშვური სექსუალობის საფეხურს, რომლის დროსაც მას ქონდა სურვილი და სიმპატიები საკუთარი სქესის ადამიანების მიმართ, მაგრამ რას ნიშნავდა ეს არ იცოდა. ანუ ეს არის არ ცოდნის ეტაპი, როდესაც ის განსაკუთრებით არაფერს არ უღრმავდება და უბრალოდ ბუნებრივად ცხოვრობს. ეს ეტაპი სრულდება მაშინ, როდესაც იგი ხვდება თავის პირველ პარტნიორს და მაშინ უკვე იწყება იმ საფეხურების განვითარება, შედარებითი სიზუსტით, რომელიც გამოყო ვივიენ კასმა.

გთავაზობთ ცხრილს, სადაც რესპონდენტის მიერ განვლილი ცხოვრება შედარებულია კასის იდენტობის ჩამოყალიბების მოდელთან. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ მისი ცხოვრების მომენტების შედარება კასის მოდელთან მოვახდინე რესპონდენტთან ერთად, მისი კონსულტაციით და დახმარებით, რადგან ვფიქრობ, რომ ასე უფრო ზუსტი იქნებოდა ეს შედარება და რაც მთავარია, თავისუფალი იქნებოდა ჩემი სუბიექტური ზეგავლენისაგან. ასეც მოხდა, ამ შემთხვევაში რესპონდენტმა გაახმაურა მხოლოდ თავისი სუბიექტური გამოცდილება და მხედველობა.

კასის მოდელი	შესაბამისი ეპიზოდები რესპონდენტის ცხოვრებიდან
<p>იდენტობის გაურკვევლობა</p>	<p>პირველი საფეხური დიტოს ცხოვრებაში დაიწყო მაშინ, როდესაც გაიცნო პირველი პარტნიორი. ამ დროს იგი ცდილობს თან ურთიერთობა დაამყაროს თავის პარტნიორთან, მაგრამ ამავე დროს ვერ გარკვეულა რა ხდება მის თავს: <i>“ჩემ პადრუგას უნივერსიტეტში ვისთანაც ძან ვმეგობრობდი იმას ვუთხარი რო ვიღაცა პიდარასტი ბებერი მამამს მეთქი რა, ზუსტად მახსოვს რო ვგრე ვუთხარი რა, თან ვხვდები, რო ამას მე თვითონ ვიწვევ ამ საქციელზე რა იმიტომ, რო მეთვითონ რაღაც ჩორტებს ვუვდებ რა ამაში, ამ მეილებში ისეთ რაღაცეებს ვწერ რო ის მიპასუხებს, ვაბამ რა აშკარად რა, ისიც მამავს და მოკლედ მარა ისაა რა მერე რა უნდა ვქნა აზრზე არ ვარ რა.”</i> ამ დროს იგი ძალიან იბნევა და ახასიათებს შეფერხებული, დაბნეული მოქმედება: <i>„ესე გააზრებულად, რომ ვხვდები, რო უფროს ადამიანთან, ძან დავიბენი რა...“</i> და რაც ყველაზე მთავარია იგი ცდილობს შეინარჩუნოს ემოციური კავშირი პარტნიორთან მაგრამ თავს არიდებს სექსს: <i>„ჩემი პოზიცია იყო ესეთი რო რაღაც ტუტუცი ინტელექტუალი ბავშვი, რომელიც ვზივარ ესე მიუწვდომელ პოზაში მოკლედ და არ ვიკარებ რასაც ქვია და მოკლედ რაღაც განყენებულ თემებზე ვლაპარაკობთ, პაზოლინი, მოკლედ ტრაკში პერო სუფთა რა, მოკლედ ეგეთი რაღაცეები ხდება რა და ეხლა რო მახსენდება ძან მეცინება ამაზე რა ანუ მეც როგორი მეჭირა ამაზე, ძან ჭკვიანი ვარ და რაღაცა..“</i></p>
<p>იდენტობის შედარება</p>	<p>ეს ეტაპიც უკავშირდება პირველ პარტნიორთან ურთიერთობას, როდესაც რესპონდენტი უშვებს შესაძლებლობას, რომ ის შეიძლება აღმოჩნდეს ჰომოსექსუალი, ცდილობს თავი გაართვას სოციალურ გაუცხოებას. ამავე დროს ის ცდილობს შეინარჩუნოს ჰეტეროსექსუალის იმიჯი. იგივე მამიდასთან გამომჟღავნების დროს ის იტყუება, რომ მას კი მოწონს ეს კაცი, მაგრამ ეს მხოლოდ მეგობრულად და სექსუალური ურთიერთობა არ ქონია და არც აპირებს.</p>
<p>ტოლერანტობა</p>	<p>მესამე ეტაპი უკავშირდება მის შემდეგ პარტნიორს. ამ ეტაპზე რესპონდენტი აცნობიერებს, რომ ის არ არის ერთადერთი, იზრდება დაშვება, რომ ის არის ჰომოსექსუალი. მისი მთავარი მიზანი არის დაძლიოს სოციალური გაუცხოება, იცნობს ბევრ ჰომოსექსუალ ადამიანს, თავისი ახალი პარტნიორის საშუალებით, მის გეი მეგობრებს. რაც ყველაზე მთავარია, ეს მეგობრები მისთვის გამოდგა დადებითი საშუალება ჰომოსექსუალური სამყაროს გაცნობის: <i>„ნუ ის მართლა კაი ტიპი იყო რა, რაღაც ისეთი, ოპერას უსმენდა, ფიზიკოსი იყო რაღაც გიჟი, სასწაული და ძან საინტერესო იყო იმასთან ცხოვრება, რაღაც კომპიუტერი მასწავლა ადამიანურად...“</i> ამავე დროს იწყებს ფიქრს და მსჯელობას ჰომოსექსუალობის საკითხებზე: <i>„ხო ამასობაში ათასი რაღაცა წავიკითხე, რაღაცა ათასი ინტერნეტია, რა ვიცი, ბევრ რამეში გავერკვიე რა რეალურად რა ხდება, რაღაც მოკლედ ფსიქოლოგიის სახელმძღვანელოები და რაღაცეები ვიკითხე და ცოტა გავნათლდი, თან თვითონ გავიზარდე რა...“</i></p>

<p>იდენტობის მიღება</p>	<p>ამ ეტაპზე იგი იღებს ჰომოსექსუალურ იდენტობას და რაც ყველაზე მთავარია იწყებენ საკუთარი ორიენტაციის გამომჟღავნებას, მართალია ეს არის შერჩევითი გამომჟღავნება, მაგრამ სწორედ ამ ეტაპზე ხდება იატაკქვეშეთიდან გამოსვლის პრეცედენტები: „ბოლოს ვუთხარი რა ესე პირდაპირ ვუთხარი მარიკას და იმანაც ძაან ისე, აბსოლუტურად, არავითარი ისეთი რეაქცია არ ქონია რა არც რომ უი რას მეუბნები ძაან ჩვეულებრივად მიიღო რა და მითხრა რომ ხვდებოდა თვითონაც ძაან კარგად ეგ ისედაც გასაგები იყო ჩემთვისო და რაღაცა“. პირველად უთხრა მარიკას როგორც ტექსტიდან ვგებულობთ, მაგრამ მალე სხვა მეგობრებსაც გაანდო თავისი ორიენტაციის შესახებ: „მართლა პირველი იყო მარო რა მერე ძაან რაღაცნაირად ისე მოხდა რომ ეხლა პროსტა ვინ როდის და როგორ ეგრე დეტალებში არ მახსოვს რა ვისთან ვის რა ვუთხარი ვის როდის ვუთხარი რა სირუაციაში, მარა უბრალოდ უკვე ძაან ბევრმა იცის რა ჩემზე მართლა ბევრმა ანუ ვისთანაც ფაქტიურად ვმეგობრობ და ახლოს ვისთანაც ვარ ყველამ იცის დღეისათვის, ხო“</p>
<p>იდენტობით სიამაყე</p>	<p>იდენტობით სიამაყე რესპონდენტმა პირველად იგრძნო, როდესაც გაემგზავრა საქართველოდან საზღვარგარეთ, საფრანგეთში, ენის შესასწავლ საზაფხულო სკოლაში: „მოკლედ ესეთი დავალება გვექონდა ყველას, რომ უნდა წარმოგვედგინა ჩვენ ჩვენი თავი, მეორე თუ მესამე დღეს, რა იქ ჩასულები, დავიწყეთ მეცადინეობა, უნდა მოგემზადებინა მოხსენებასავით, ანუ ვინ ხარ შენ, შენი ქვეყანა რა არის და რაღაცა და რაღაცა და მაშინ მე იქ გამოვდექი და გადავიდე ენა მხარზე და იქ მანიფესტები წავიკითხე და რაღაცეები გავაკეთე და ნუ აი მე როგორი ბედნიერი ვარ, რომ ვარ საფრანგეთში, რომ მომეცა ეს შესაძლებლობა და რაღაცა იმიტომ რომ აქ მე შემიძლია გავაკეთო ის რასაც ვერასოდეს ვერ გავაკეთებდი ჩემს ქვეყანაში მეთქი და აი მაგალითად მე შემიძლია ხმამაღლა ვთქვა რომ გეი ვარ 40 ადამიანის წინაშე და აი რა მაგარი ქვეყანაა საფრანგეთი, რომელიც საშუალებას გაძლევს ეგეთი რაღაცა აკეთო რა რაც საქართველოში საერთოდ გამორიცხულია თქო და ნუ იქ ატყდა ტაში, გრიალი და რა ამბავი იყო პროსტა. როგორ იყო იცი? სუფთა ამერიკულ კინოში რომ გინახავს, რაღაც ვიეტნამის ომის გმირი გამოდის და რაღაცეებს ამბობს აი დაახლოებით ეგეთი იყო რა და და მაშინვე ძაან ვიგრძენი ისა რა, პირველად ვიგრძენი ამით სიამაყე რასაც ქვია რა, იდენტობის ის ჩამოვიყალიბე, რომ აი თურმე, რომ შენ არ ხარ ისეთი როგორც სხვები შეიძლება იყოს კარგი, ნუ აი უბრალოდ საკმარისია, რომ შენ ეს თქვა ხმამაღლა და თქვა რომ შენ ამის არ გეშინია და ამაც და რაღაცა და უცებ ის ხდები რა, უცებ 40 ადამიანი გიკრავს ტაშს, ნუ მერე რა რომ ეს საქართველოში არ ხდება ესეთი რაღაცა შესაძლებელია რეალურად და ვიყავი ძაან ამაყი ამით..“ ამავე ეტაპზე იგი იჩენს ბევრ ჰომოსექსუალ მეგობარს და პარტნიორს და მთლიანად იწყებს გეი ცხოვრებას.</p>

<p>იდენტობის სინთეზი</p>	<p>ამ ეტაპზე იგი აღარ განიცდის დიდ სოციალურ იზოლაციას და ისეთი ძალით აღარ ყოფს სამყაროს ჰომო და ჰეტერო ნაწილებად. ამას იგი უკავშირებს ბოლო პარტნიორს, რომელთანაც დღემდე აგრძელებს ურთიერთობას და რომელთანაც ყველაზე ხანგრძლივი ურთიერთობა აკავშირებს. აღარც გამომჟღავნების პრობლემა აქვს და რაც ყველაზე მთავარია იგი თავი თავს უკვე მარტო ჰომოსექსუალური იდენტობის კუთხით აღარ უყურებს: „<i>ეხლა უკვე სხვა რაღაცეები მაინტერესებს რა, მხოლოდ გეიებთან აღარ მაქვს მეგობრული დამოკიდებულება, მყავს ბევრი ჰეტეროსექსუალი მეგობარი და რაც მთავარია ამით აღარ განვსაზღვრავ თავს რა და რაღაცა, ეხლა უფრო იმაზე ვფიქრობ რომ იმის მიხედვით ვიქნები მაგარი თუ რა გავაკეთე, როგორ ვიმუშავე, რა დავწერე, როგორ და რავიცი რა..</i>” ამავე დროს მის ასეთად გახდომას მიაწერს დამოუკიდებლობას, რაც ჩემი კვლევის პირველ კითხვას შეესაბამება: „<i>მოკლედ რაღაცნაირად თვისებრივად შეიცვალა ეს სიტუაცია ამის შეცვლა დაიწყო ჯერ კიდევ წასვლამდე როცა იქ ვცხოვრობდით მარტო რა როცა პირველად ფაქტიურად ვცხოვრობდი მარტო შეიძლება ითქვას რა დამოუკიდებლად ასე ვთქვათ რომ მქონდა ჩემი ფული უკვე არავისზე არ ვიყავი დამოკიდებული არც სახლი არც სხვა მანამდე რაც მქონდა მანამდე რაც მქონდა ვთქვათ ბოლომდე დამოუკიდებლობას ვერ ზრუნველყოფდა იმიტომ რომ ცოტა იყო მე კი მყოფნიდა ჩემთვის მარა მაინც ბოლომდე საკმარისი არ იყო მას მერე რაც დამოუკიდებელი გავხდი ფუნანსურად და რაღაცა რაღაცნაირად ყველაფერი შეიცვალა რა ანუ ვაფშე შეიცვალა ცხოვრება ეხლა რომ ვუკვირდები ძან დიდი განსხვავებაა უფრო თავდაჯერებული გავხდი და რაღაცა</i>”</p>
--------------------------	---

როგორც დავინახეთ, რესპონდენტმა მთლიანად გაიმეორა ვივიენ კასის მიერ ჩამოყალიბებული ჰომოსექსუალური იდენტობის ფორმულირების საფეხურებრივი მოდელი. ერთადერთი, რაც მის ცხოვრებაში იყო განსხვავებული ეს არის ბავშვობა. მართალია, რომ კასის მოდელი არ ითვალისწინებს ბავშვობას და უკვე მოზრდილობიდან იწყება, როდესაც იდენტობა იწყებს ჩამოყალიბებას, მაგრამ რესპონდენტის ბავშვობა მაინც ძალიან საინტერესოდ მიმაჩნია და ამიტომ გამოვყავი ის ცალკე საფეხურად. რაც შეეხება საფეხურობრივ მოდელს, ძალიან კარგი იქნება თუ სამომავლოდ ჩატარდება უფრო მასშტაბური კვლევა და შეიქმნება საქართველოში მცხოვრები ჰომოსექსუალი ადამიანების იდენტობის ფორმირების მოდელი, რომელიც იქნება ქართულ რეალობაზე მორგებული უფრო მეტად, ვიდრე ვივიენ კასის მოდელი.

ღასკჟნა

საბოლოოდ შემიძლია დავასკჟნა, რომ კვლევის შედეგად მივიღე კვლევის თემასთან დაკავშირებული სიღრმისეული და სასარგებლო მასალა. ეს კვლევა საინტერესო იყო იმიტომ, რომ მოვახდინე ერთი შემთხვევის შესწავლა და სამი მეთოდის გაერთიანებით ინფორმაციის ამოღება და მივიღე შედეგები, რომლებმაც საკმაოდ საინტერესო კვლევითი მასალა შექმნა. დარწმუნებული ვარ ჩემს მიერ გაწეული სამუშაო სასარგებლო იქნება მომავალში ჩატარებული მსგავსი კვლევებისათვის, როგორც მეთოდური ასევე თეორიული თვალსაზრისით.

ჩემს მიერ დასმულ კვლევით კითხვებზე პასუხების გაცემის შედეგად, ნაწილობრივ გამართლდა კვლევის პროცესში არსებული ვარაუდები. მიუხედავად ამისა, ერთხელ კიდევ დამიდასტურდა მოსაზრება, რომ სოციალურ მეცნიერებებში ძნელია გადაჭრით რაიმე მოვლენის სხვა, მეორე მოვლენასთან დაკავშირება, თქმა იმის, რომ ერთი მოვლენა აუცილებლად განაპირობებს მეორეს. განსაკუთრებით ეს ეხება თვისებრივი კვლევის მეთოდების გამოყენებით შესწავლილ ამა თუ იმ ფენომენს.

და კიდევ მართალია რესპონდენტის ცხოვრების ისტორიამ თითქმის გაიმეორა ვივიენ კასის მიერ ჩამოყალიბებული ჰომოსექსუალური იდენტობის ჩამოყალიბების მოდელი, მაგრამ კარგი იქნება თუ სამომავლოდ ჩატარებული, რომელიმე კვლევა შეისწავლის საქართველოში ჰომოსექსუალების იდენტობის ჩამოყალიბების პროცესს და შექმნის ქართულ რეალობასთან უფრო ახლოს მდგომ იდენტობის ჩამოყალიბების მოდელს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ზურაბიშვილი თ. (2007) კაპაი გ. ბიოგრაფიულ-ნარატიული ინტერვიუ, თეორიული წინამძღვრები და გამოყენების ხერხები; ჩემს ხელთაა თარგმანი კრებულიდან: კვლევითი მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში (თვისებრივი მეთოდები). ბაკურიაძე: სოციალურ მეცნიერებათა მხარდაჭერის პროგრამა, 24-30 ივლისი, 2001 წ. წიგნიდან: Gabriele Cappai. *Fra realtà locale e processi globali. Emigrazione, associazionismo ed identità nelle società multiculturali*. Hallescher Verlag, 2000. თარგმნეს ნოდარ ლადარიამ და თინათინ ზურაბიშვილმა.
2. ზურაბიშვილი თ. (2006) თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში. თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი;
3. მრავალეთნიკური საქართველო გასულ საუკუნეში. (2004) თბილისი: ჯისიაი;
4. ფონდი ინკლუზივი. ჟურნალი “მე” N2, N3, N4, N5 და N6;
5. წულაძე, ლ. (2006) აკადემიური წერა. თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი;
6. კომოსექსუალობის წარმომავლობა (2007). მოძიებული 27.02.2008 წელი. www.women.ge/minority.ge
7. ჰებერლი ჯ. (2007). სექსუალური ორიენტაცია. მოძიებული 27.02.2008 წელი. www.women.ge/minority.ge;
8. Alderson K. (2000) *Beyond Coming Out*. Canada. Insomniac Press;
9. Blumenfeld W.J. *Adolescence, Sexual Orientation & Identity*. searched 26/02/2008 at http://www.outproud.org/article_sexual_identity.html;
10. Coleman E. (1981-1982). *Developmental Stages of the Coming Out Process*. Journal of Homosexuality, NY: Hawthorn press.7 (2/3) searched 26/02/2008 at http://www.outproud.org/article_sexual_identity.html;
11. Cass V. (1979) *Homosexual Identity Formation: A Theoretical Model*, Journal of Homosexuality, New York: Hawthorn Press, 4 searched 26/02/2008 at http://www.outproud.org/article_sexual_identity.html;
12. Eichler M. (1988) *Nonsexist Research Methods*. Boston: Allen&Unwin;
13. Jey K. and Young A. 1979. *The gay Report*. Summit Books, New York;
14. Jagose A. (1996) *Queer Theory, An Introduction*. Washington Square, New York: New York University Press;
15. Maccoby E. (2000) *The Two Sexes, Growing up Apart Coming Together*. Harvard University Press. Cambridge, Massachusetts, London, England;
16. Neuman L.W. (1994) *Social Reaserch Methods, Qualitative nd Quantitative Approaches*. Boston: Allyn and Bacon;
17. Quin S. (2007) *Forced Out: LGBT People in Georgia*. Report on Ilga- Europe/Coc Fact Finding mission, Tbilisi.
18. Shaw C.R. (1966) *The Jack-Roller*. Chicago&London: The University of Chicago Press;
19. Sinfield A.(1997). *Identity and Subculture*. Medhurst A. and Munt S.R (editor). Lesbian and Gay studies. London&Washington: Cassell;
20. Troiden. R R (1989). *The Formation of Homosexual Identities*, in Gay and Lesbian Youth, Gilbert Herdt (ed.) Harrington Park Press searched 26/02/2008 at http://www.outproud.org/article_sexual_identity.html;
21. Sexual Identity and Identity Glossary (2007). searched 26/02/2008 at www.sexuality.org;
22. Strauss A. and Corbin J.1998. *Basics of Qualitative Researche, Techniques and Procedures for Developing Grounded Theory*. Sage Publications, London, New Dehli;
23. Herek G.M. Kimmel D.C. Amaro H. Melton G.B. (1991) *Avoiding Heterosexist Bias in Psychological Research*. American Psychologist 44(9), 957-963;
24. Гидденс Э. *Социология*. Новое Второе Издание. Москва 2000